ISSN 0130—1624

# დილა

ივლისი № 7 1993





# ბუდეაშლილნი



# ცისკარი

№ 7, ივლისი, 1993 (676)



ყოველთვიური სალიტერატურო
სამხატვრო ჟურნალი

დამფუძნებლები:
მწერალთა საერთაშორისო
გაერთიანება „პენკლუბის
ქართული ცენტრი“ და
ჟურნალ-გაზეთების
გამომცემლობა „სამშობლო“

სარედაქციო კოლეგია:

ჯანსუღ ჩარკვიანი — თავმჯდომარე, გულნარა ბახტაძე (პასუხისმგებელი მდივანი), აკაკი ბაქრაძე, შასილ გვეტაძე, თედო ნინიძე, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ელდარ ზენგელაია, ზურაბ წერეთელი, თამაზ ბილაძე, ნოდარ ჯაველიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდიოდა ნინო მთებით

მამუკა ცეცხლაძე

სიზმარი? კი, ბატონო, მაგრამ ნაწვიმარ სილაში ვარდი რანაირად შეიძლება სილაჟვარდე იყოს და ისიც შორეული ცისა? ვერავინ იტყვის ამას და ვერავინ რომ ვერ იტყვის, ამიტომ მიაჩნია ალბათ გენიალურად ყველას ეს სტრიქონი — ლამაზია, ოხერი!

ქვეყანამ იცის, ოქროს საწმისი ბერძნებმა, ანუ გ(ე)რეკებმა რომ მოგვტაცეს ქართველებს, ანუ გეორგიანებს და პრომეთეს, ანუ ამირანის სამშობლოც რომ საქართველოა, მაგრამ — რა წიგნი, რის ტარიელი, რასაა რომ ბჟუტურებს, ნუ დავბეჭდავთ, თორემ თავი მოეჭრებაო ჩვენს გენიალურ გალაკტიონს — ვიცი, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ახლაც ამ აზრისანი არიან ჩვენივე ყოვლად დარბაისელი გეორგიანნიცა და ამირან-დარეჯანიანნიც ამ ჩვენს დღევანდელ, ისევ ორად გახლეჩილ საქართველოშიც „მშვიდობის წიგნზე“...

დიდი უცნაური ხალხი ვართ-მეთქი ქართველები...

— კარგი ერთი, მოგცლიაო — იტყვით — ქვეყანა თავზე გვენგრევა, რა დროს ჩვენს უცნაურობაზე ლაპარაკია, საქმეს უნდა მივხედოთო — მაგრამ აბა, როგორ უნდა მივხედოთ ამ საქმეს, თუკი ისიც კი აღარ ვუწყით უკვე, ვინა ვართ, რა მადლით ცხებულნი და რა ცოდვებით დამძიმებულნი?

ბევრი არაფერი ვიცი არც მე, კაცმა რომ თქვას, ამ საქმისა, ზოგიერთი ჩემი დაკვირვება, თუ გაკვირვება მინდა გაგიზიაროთ მხოლოდ, ვინძლო გამოჩნდეს მერე კაცი ვინმე მეცნიერი და უფრო მეტის ცოდნით განგვიმარტოს ყველას, თვალი ატყუებს, თუ სული უსწრებს წინ ამ სტრიქონების ავტორს, ამპარტავნობაა მისი მეგზური, თუ სიყვარული.

ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ — (საქართველოს პარლამენტის სპიკერმა) — ერთი უაღრესად ფრთხილი და უაღრესად საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა 1990 წლის 6 იანვარს „ახალგაზრდა კომუნისტში“. სიფრთხილე სავსებით გასაგები გახლავთ მისი — „იესო ქართველიო“, უნდოდა ეთქვა, „იესო ქრისტეს“ ნაცვლად, მაგრამ აბა, როგორი სათქმელია ეს და — „ძალიან ჰგავსო“ — ამით შემოიფარგლა. წერილსაც მერე — „იესო და ქართველი“ — ასე დაარქვა.

იოანე-ზოსიმეს რომ გადაეწერა საიდანმე ესეც თავის დროზე, ერთობ საინტერესო არგუმენტი იქნებოდა ალბათ ქართული, „მესიანისტურად“ შერაცხული თვალსაზრისის განსამტკიცებლად. ამგვარი არგუმენტები, იცოცხლეთ, სხვაც მრავლად მოგვეპოვება, მაგრამ ეგ არის, რომ ჩვენ თვითონვე აღარ გვჯერა უკვე კაი გულით, რომ „ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დამარხულ არს“. არა გვჯერა, რადგან გვგონია, რომ ეს გარემოება რაღაც უსაშველოდ დიდ უპირატესობას გვანიჭებს ქართველობას, როგორც ერს. არ უნდა იყოს მთლად ასე საქმე.

აი, არსებობს, მაგალითად, ერთი ასეთი ლეგენდა: ქართველებს ყველაზე გვიან უთხოვიათ ღმერთისთვის სამოსახლო; — აქამდე სად იყავითო? — ღმერთი ეკითხება თურმე ქართველებს; — შენ გადიდებდითო! — მიუგებენ ქართველები და ღმერთი თავისთვის გადანახულ მიწა-წყალს უბოძებს. ქართველებს კი გვიყვარს — სულო, ცოდვილო! — ცოტა არ იყოს, ტრაბახი, მაგრამ ასეთი საჩოთირო და ორაზროვანი ლეგენდა რად უნდა გამოგვეგონებინა ნეტა? აბა, რა ერია ის ერი, რომელიც სამშობლოს არად დაგიდევს და ყველაზე გვიან ახსენდება? ასეთი ხალხი, ცხადია, ერად ვერ მიიჩნევა, მაგრამ ამავე დროს, ეს ის ხალხია, რომელიც ღმერთს ადიდებს. ტრაბახი ის იქნებოდა ალბათ, ამ წამხდარ საქმეზე, ასე მაინც რომ გვეთქვა — არ მოვეწონეთ ღმერთს ქართველები, ერთი ხრიოკი და უნაყოფო მიწა მოგვცა და მერე ჩვენ თვითონ გადავაქციეთო ეს მიწა წალკოტად — მაგრამ არ გვითქვამს და არ ვამბობთ ამას, მაინცდამაინც ღმერთს ვუკავშირებთ ამ ჩვენს მართლა ღვთივკურთხეულ „დედა-მიწას“ ისევე, როგორც ერთი შეხედვით თითქოს მართლაცდა ყოვლად უთვისტომო და „ობოლ“ „დედაენას“ ჩვენსას.

ღმერთი ერთიაო, ამბობენ, და ერთი იყოო მაშინ, როდესაც ენაც ერთი ჰქონდათო ადამიანებს. ოცნებასავით წარმტაცია იმ ერთი ღმერთისა და იმ ერთი ენის ამბავი, მაგრამ ისევე აუხსნელია და გაუგებარი, როგორც დაბადება ჩვენი, სიკვდილი და ამათ შუა მოქცეული ეს ხანმოკლე წუთისოფელი, რაც სასოწარკვეთილთ ზოგჯერ სიზმარი ჰგონიათ, როდესაც გამოღმა აღარაფერი ეგულებათ უკვე სანუგეშო და გაღმის ნათელსღა ებღაუჭებიან, ვითარცა წყალწაღებულნი ხავსს. გამოღმა თუ ვერ შეგიცვნია ღმერთი, გაღმისას რას გაიგებ? გუშინ თუ არ გუშინობს შენთვის, დღეისი ისე ვით იდღეისებს და დღეისის უდღეისოდ ხვალეს რა მოიყვანს?

ქრისტიანობის პაგანიზაციად მიაჩნია ბევრს ჩვენში ქართული, ეგრეთწოდებული „წარმართული“ კულტურის ნაშთები და შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ ამ თვალსაზრისს იმ შემთხვევაშიც, თუ ქრისტეს, ვითარცა ყველგანმყოფი და მარადმყოფი ღმერთის, ქრისტეშობამდელ სუფევასაც ვივარაუდებთ და გავითვალისწინებთ ამ ქვეყანაზე და იმ შემთხვევაშიც, თუ ქრისტიანობად მარტო იმას მივიჩნევთ, რაც რომაელი ლეგიონერების მიერ პირველქრისტიანთა დევნის შეწყვეტის შემდეგ ჩამოყალიბდა რელიგიად, მაგრამ ეს, ცხადია, არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ქართული, ეგრეთწოდებული „წარმართული“ კულტურა ქრისტიანული რელიგიის ხნისაა, ან ამაზე ცოტა უფრო გვიანდელი ხანის ფენომენი. „წარმართი“ ქართულად წაღმართს ნიშნავს და ამისი ანტონიმი უკუღმართია. წარმართობა ზოგადად მართლმორწმუნეობას ნიშნავს ქართულში ნებისმიერი სარწმუნოებისას და ამ გაგებით, რა თქმა უნდა, რომ წარმართები ვართ ყველა, ვისაც ღმერთი გვწამს საერთოდ, მიუხედავად ჩვენი აღმსარებლობისა. ფერეიდანში, მაგალითად, მჭადს რომ დააკრავს კეცზე ქართველი დედაკაცი, დღესაც ჯვარს გამოსახავს ხოლმე იმ მჭადზე, მაგრამ ეს მისი ქართველობის დამადასტურებელია უკვე და არა მაინცდამაინც ქრისტიანობისა, თუ ყოფილი ქრისტიანობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიცი, გაიზიარებენ თუ არა ამ აზრს მეცნიერები, მაგრამ ერთგან უკვე ვცადე, გამომეთქვა ასეთი ვარაუდი: „ჯვარსა“ და „გიორგის“, ამ ორ სიტყვას, ერთი და იგივე ეტიმოლოგიური ფუძე აქვს-თქო ქართულში — „გე ორი“ და „ჯე ორი“. ჩვენს ფშავ-ხევსურეთში, მაგალითად, დღემდე ყოვლად სრულფასოვან სინონიმებად აღიქმება ეს ორი სიტყვა — რა „ხახმატის ჯვარი“ გითქვამს, მაგალითად, და რა „ხახმატის გიორგი“, ერთი და იგივეა ეს, გიორგის სახელობისა კი არ არის ეს ჯვარი, არამედ ჯვარი იგივეა, რაც გიორგი. საქართველოში ხდება მარტო ეს, ანუ „გეორგიაში“, სადაც წმინდა გიორგი, მოგეხსენებათ, 363-ია და უნდა ვიგულისხმოთ ალბათ, რომ ყველა გიორგი ჯვარია და ყველა ჯვარი გიორგი. ბერძნულიაო — ვიცი, იტყვით — ეს სახელი; იმასაც ამბობენ, გეორგიანები ბერძნებმა დაგვარქვეს ქართველებსო, მაგრამ თავად იმ ბერძნებს ვინღა დაარქვა „გ(ე)რეკები“, თუ დაფიქრებულხართ? განათუ ერთი და იგივე არ არის ეს?

„მე მიხმს შენს მიერ ნათლისღება და შენ ჩემდა მოხვალა?“ — გაოცებულია იოანე. — „აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შვენის ჩვენდა აღსრულებად სიმართლე“ — მიუგებს იესო. „მეჯვარეობა“ და „ნათლობა“ აგრეთვე სინონიმური სიტყვებია ქართულში. „ჯვარი“ უნდა ვიგულისხმოთ ალბათ, რომ გიორგია, „ნათელი“ კი, თავისთავად ცხადია, რომ ქრისტე. გახსოვთ, რა თქმა უნდა, ივანე ჯავახიშვილსაც დაახლოებით ასე აქვს ეს დადასტურებული ქართულ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში.

„მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა თქვენისა მაცხოვარი და იქმნენით მკვლელ შემოქმედისა“ — ცოტა არ იყოს გაუგებარია, მართალია, სად, რომელ ქვეყანაში მეფობდნენ იმხანად ჰურიები და რომელი ჰურიების რომელ მეფობას ემშვიდობება აქ ქართველი ებრაელი დედა, რომელიც საქართველოდან იერუსალიმს საგანგებოდ ამ საქმის გამო ხმობილ თავის შვილებს იმთავითვე ასე არიგებს — „ნუ, ნუ შეერთვინ ცნობა შენიო, ნუ შვილო!“ — მაგრამ ერთი რამ ცხადია — ყველაზე უფრო მზად ამ „ახლებური აზროვნებისათვის“ მაშინ ქართველები ყოფილან, ანუ, უფრო ზუსტად — „ჰურიანი ქართველნი“. ყველაზე უფრო ნიშანდობლივი კი მთელს ამ ამბავში, ჩემი აზრით, ის გახლავთ, რომ ქრისტიანობამ მაინც ვერ მოიკიდა ფეხი საქართველოში მანამ, სანამ ჯვარი ვაზისა არ იწინამძღვრა. ჯვარი სწორედ ამ ეპოქაში ხდება ქრისტიანობის ერთადერთი და საყოველთაო სიმბოლო და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ „ახლებური აზროვნების“ ყოვლად აუცილებელი ატრიბუტი ეს, უწინარეს ყოვლისა, იმ ხალხისათვის უნდა ყოფილიყო, ვინც მანამდეც ჯვარს სცემდა თაყვანს. ამ კონტექსტში უაღრესად ნიშანდობლივია უთუოდ ის გარემოებაც, რომ ქრისტეს სჯულის მიღებისთანავე, მირიანს სწორედ ქართული ენის შესწავლას ურჩევენ დაბეჯითებით ქურუმები.

ამას წინათ ვწერდი ამაზეც და გავიმეორებ: 363-ს, ანუ სამს, ექვსსა და სამს, ქართული ასომთავრულით თუ დავწერთ, წინარექრისტიანულ ქართულ ჯვარს, ანუ ბორჯღალს მივიღებთ ექვსიანის სახით, ხოლო განაპირა სამიანები ნახევარჯვრების, ანუ ნახევარბორჯღლების სახით წარმოგვიდგება. ანბანური მნიშვნელობა კი, თავისთავად ცხადია, განი, ვინი და განია ამგვარად დაწერილი 363-ისა, ანუ „გე-ვორ-გე“. 363, ესე იგი, ქართული ასომთავრულით ერთდროულად აღნიშნავს ჯვარსაც და გიორგისაც. არსებითად იგივე კონცეფცია საცნაურდება ორი ერთიმეორეში შერწყმული, ანუ შეჯვარებული სამკუთხედითაც, რაც, მოგეხსენებათ, რომ უკვე დავითის ფარია, ანუ ებრაელთა ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ქართველი ბაგრატიონები თუ მართლა „დავითიან-სოლომონიან-იესეიანნი“ არიან, მაშინ — თეორიულად მაინც — არც ის უნდა იყოს ალბათ გამორიცხული, რომ წინაპარნიც იყვნენ მათნი.

იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მზის ქართული სახელი სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში მთვარის სახელია („მაზერ“, „ამზა“ და სხვა), ივანე ჯავახიშვილს გამოაქვს სავსებით ლოგიკური დასკვნა, რომ ამოსავალში ეს სიტყვა ზოგადად მნათობს უნდა ნიშნავდესო. ჩემი მხრივ, დავუმატებ, რომ მესხურ კილოკავში შემონახულია ამ სიტყვის, როგორც ჩანს, ამოსავალთან კიდევ უფრო ახლოს მდგომი ფორმა. მზესუმზირას „მისინძირას“ ეძახიან მესხები — ცხადია, რომ ეს „მის“ მზეს ნიშნავს. ყოვლად თვალსაჩინოდ იკითხება ეს სიტყვა სემიტურ „შამაშშიც“ და ხეთურ „არმასშიც“ (შეადარეთ: „მის“, „მას“, „მაშ“, „მაზ“, „მზ“). „შამაში“ თითქოს მზეა, „არმასი“ თითქოს მთვარე, ასეა ცნობილი, მაგრამ „შამაშში“ ებრაული „ორის“ („შნაიმ“, „შთაიმ“) ამოსავალი „შ“ ისმის ამ სიტყვის დასაწყისში, ხოლო „არმაზი“, როგორც თავადაც კარგად მოგეხსენებათ „ქართლის ცხოვრებიდან“, იგივე „ქართლის მთაა“ საქართველოში და ის ადგილი, სადაც ორი წარმართული კერპი იყო აღმართული — გაცი და გაიმი. სომხურადაც ეს „არმას“ ყოვლად კატეგორიულად ორ ნაწილს, ან ორ მხარეს ნიშნავს რაიმესას. ივანე ჯავახიშვილი თუ მართალია, და მართალია, როგორც ხედავთ, მაშინ ცოტაოღენი უფლება გვაქვს ალბათ, რომ ასე ვიგულისხმოთ — „არმასიც“ ამოსავალში ორ მნათობს უნდა ნიშნავდეს, ანუ მზესა და მთვარეს ერთად, ისევე, როგორც „შამაში“, „ორმუზდი“, ანუ „აჰურა მაზდა“ და ჩვენი, მეგრული „თუთაშხა“, ანუ „მთვარე-მზე“, რაც, მოგეხსენებათ, რომ სწორედ „ორ-შაბათის“ შესატყვისია. ივანე ჯავახიშვილს „ადრეკილაის“ დღესასწაულთან დაკავშირებით გამოთქმული აქვს ერთი ასეთი ვარაუდიც: ქართველებს, ანუ ქართველურ ტომებს ოდესღაც მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ შავი, ან მუქი ფერის კანის მქონე ხალხებთან, თუ ტომებთანო.

ევრ-აზიაა ესე ყოველი, ჩემი აზრით, და მითიური „ორთავიანი არწივიც“ საიდანღაც აქედან უნდა იყოს აფრენილი თავის დროზე.

მესია, ანუ ერთი ღმერთი, უნივერსალური სჯული და „საერთო ენა“, ცხადია, იმ სჯულის „აღსრულებად“ უნდა მოვლენოდა კაცობრიობას, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ ევრ-აზიულ ერთობას გულისხმობდა ოდესღაც და მერეც ისევ ამ ერთობის აღორძინებისაკენ ილტვოდა, მაგრამ იმ „ორთავიანი არწივისა“ არ იყოს, ერთგვარად მხარი ექცა ქრისტიანულ რელიგიასაც და მეტნაკლები თვალსაჩინოებით ნელ-ნელა პროდასავლური ორიენტაცია მიიღო. ქართველებიც, ცხადია, ამ გზას უნდა გავყოლოდით, ვითარცა სისხლნი სისხლთაგანნი და ხორცნი ხორცთაგანნი ამ დასავლეთისანნი, მაგრამ ქართულ ენაში იმთავითვე გახლდათ, როგორც ჩანს, დაუნჯებული ეს „ყოვლი საიდუმლო“. არ არის ეს ზღაპარი. შეუძლებელია ამისი გამოგონება.

„ძველი აღთქმა ახალშია გაცხადებული და ახალი ძველშია დამარხული“, რაღა თქმა უნდა, მაგრამ თავად იმ ძველის საიდუმლო, უნდა ვიფიქროთ, რომ მიწყივ იმ „წინამორბედს“ „უპყრია ხელთ, რომელიც „შემდგომად მომავალია“ და „უწინარეს იყო“.

„მეცნიერებამ შეწყვიტა არსებობა, როდესაც გაჩნდა წიგნი“ — პლატონს უთქვამს ეს ქრისტეშობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე. „წიგნი, ტარიელ, წიგნი!“ — დაბეჯითებით მოითხოვა ეს წიგნი გალაკტიონმა აგერ, სულ ამ ცოტა ხნის წინათ. სჯულის კიდობანში ეგულებათ დღესაც ებრაელებს ეს წიგნი. ქართველებს კი, როგორც ამბობენ, ბერძნებმა მოგვტაცეს.

ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევითა და წმინდა გიორგის მადლით, წმინდა ნინოს გარჯითა და მეცადინეობით დავიბრუნეთ ბოლოსდაბოლოს ეს წიგნი და ამის მერე „კირილეისონსლა“ ვამბობდით მარტო ბერძნულად „გეორგიანები“.

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკუთრება — რა არის

საკუთრება ისტორიულად განვითარებადი საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომელიც გვიხასიათებს თუ როგორ ანაწილებენ (ითვისებენ) ცალკეული პირები, სოციალური ჯგუფები, კლასები, სახელმწიფო მატერიალურ და სულიერ დოვლათს, ამ დოვლათის წარმოებისათვის აუცილებელ პირობებს. საკუთრების ესა თუ ის ფორმა განსაზღვრავს წარმოების შედეგების განაწილების წესსაც.

საკუთრების შინაარსი გარეგნულად არ ჩანს, ზედაპირულად იგი წარმოგვიდგება როგორც ადამიანთა უფლება საკუთრების ობიექტზე. ესე იგი, გარკვეულ ნივთზე, ზოგჯერ კი თვით ადამიანზეც (მაგალითად, მონათმფლობელობის დროს). ამ ურთიერთობას გამოხატავს ცნებები: ფლობა, განკარგვა, სარგებლობა.

ეკონომიკური თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რეალურად ვის ინტერესებს ემსახურება საზოგადოებრივი ურთიერთობის ესა თუ ის ობიექტი. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთრების უფლებას.

საკუთრების უფლება არის ნივთის, ქონების მესაკუთრის იურიდიულად უზრუნველყოფილი ქცევის ფარგლები, კერძოდ, მათი სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება.

საკუთრების უფლება უვადოა. იგი დაცულია სამართლებრივი კანონმდებლობით.

ახლა მოკლედ შევეხოთ საკუთრების წარმოშობა-განვითარების ზოგად კანონზომიერებებს.

როგორც ცნობილია, პირველყოფილ საზოგადოებაში წარმოებით ურთიერთობათა განმსაზღვრელი ფორმა იყო ჯოგური (თემური) საკუთრება მიწაზე და ბუნების მზა პროდუქტებზე, ესე იგი, „მკვებავ“ ფართობზე და ბუნების ნივთებზე. მაშინ ქვისა და ხის იარაღების გამოყენება შეზამებული იყო ამა თუ იმ ინდივიდის შესაძლებლობებთან. ამასთან, ისინი ფაქტიურად პირად საკუთრებად იქცეოდა. მაგრამ საერთოდ შრომაში და მხოლოდ კოლექტივის საერთო ინტერესების შესაბამისად გამოიყენებოდა.

მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობის განვითარებამ საზოგადოება კვლავწარმოებად მეურნეობისაკენ წარმართა. ამან შედარებით გაათავისუფლა ადამიანები ბუნებისაგან მიღებული მზა პროდუქტებზე დამოკიდებულებისაგან. გაჩნდა შრომის იარაღების დამზადების ახალი წესები: ქვის ხერხვა და ბურღვა, ხეხვა, გაპრიალება. წარმოიშვა რთვა და ქსოვა. განვითარდა მიწაზე გადაადგილების საშუალებანი. აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა ლითონის (სპილენძი, ბრინჯაო, რკინა) სასარგებლო თვისებები. გამოიგონეს გუთანი, ბორბალი, ეტლი...

ამგვარ ვითარებაში თემებმა დაიწყეს არსებობის სხვადასხვა საშუალების იმ ზომით წარმოება, რაც მათზე უშუალო ყოველდღიურ მოთხოვნილებას აღემატებოდა. ამის შედეგად გაჩნდა მწარმოებლის უშუალო მოთხოვნილებებზე მეტი პროდუქტი. დაიწყო გაცვლა, მეურნეობის მთავარ დარგებად იქცა: მიწათმოქმედება, მეჯოგეობა, ხელოსნობა.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო მონათმფლობელური საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობის წარმოშობა-განვითარებას. საკუთრების ობიექტად იქცა მიტაცებული მიწები. იგი საფუძვლად დაედო მონათა მიერ ზედმეტი პროდუქციის წარმოებას, მონა თავად გახდა მონათმფლობელის საკუთრების ობიექტი.

მონათმფლობელური წარმოების წესის წიაღში აღმოცენდა ფეოდალიზმის ელემენტები, ამაღლდა სამიწათმოქმედო ტექნიკის დონე. მიწა ფეოდალების ხელში აღმოჩნდა, გაჩნდა გლეხებისა და ხელოსნების ერთპიროვნული საკუთრებაც. თუმცა, საკუთრების ეს ფორმაც ემყარებოდა პირად შრომას და არ ჰქონდა ექსპლოატატორული ხასიათი.

გლეხები მიმაგრებული იყვნენ მიწაზე, ამან წარმოშვა „გარეშე ეკონომიკური იძულება“, არსებობდა აგრეთვე ფეოდალის უფლება გლეხის გაყიდვაზე. ამასთან, გლეხის სამუშაო ძალის კვლავწარმოებაზე ზრუნვას ფეოდალი თვით მასვე აკისრებდა.

ფეოდალური მეურნეობა სულ უფრო მეტად ებმებოდა საბაზრო ბრუნვაში და ემორჩილებოდა ფულის ძალას. ამან დააჩქარა გლეხობის დიფერენციაცია, მათი დაშლა სოციალურ ჯგუფებად.

სოფლის კულაკმა თავი გამოისყიდა ფეოდალისაგან და თავის მხრივ, ულარიბესი გლეხების ექსპლუატატორი გახდა: გაბურჟუებული მიწათმფლობელობისა და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ძალადობამ დააჩქარა კაპიტალისტური წარმოების წესის „დაბადება“. დაიწყო კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი (ძარცვა, არაექვივალენტური ვაჭრობა, პროტექციონიზმი).

გაჩანაგებულ და გაძარცვულ მასებს აღარაფერი დარჩათ საკუთარი სამუშაო ძალის გარდა. სამუშაო ძალაც საქონლად გადაიქცა.

ამგვარად, წარმოიშვა წარმოების საშუალებათა და შრომის პროდუქტთა კერძო საკუთრება.

1985 წლიდან ყოფილ სსრკ-ში დაწყებულმა რეფორმებმა ქვეყანა სრულ დესტაბილიზაციამდე მიიყვანა. რასაც, თავის მხრივ, ერთიანი ეკონომიკური სისტემის დაშლა მოჰყვა. ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები დამოუკიდებელ-სუვერენულ სახელმწიფოებად (ქვეყნებად) გარდაიქმნენ. ამის გამო ფართოდ გაიშალა სახელმწიფო საკუთრების, აგრეთვე, საკოლმეურნეო-კოოპერატიული საკუთრების პრივატიზაცია-განსახელმწიფოების პროცესი.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებ-

# ...ში?



ლობის გზაზე მდგარ საქართველოში საკუთრებითი ურთიერთობის სრულიად ახალი ფორმები ყალიბდება საკუთრების შესახებ. შემუშავებულ კანონპროექტში, რომელსაც უახლეს პერიოდში დაამტკიცებს რესპუბლიკის პარლამენტი, საკუთრების შემდეგნაირი ფორმები და სახეებია წარმოდგენილი:

1. სახელმწიფო საკუთრება. მათ შორის: ა) საქართველოს რესპუბლიკის საკუთრება; ბ) ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრება; გ) ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საკუთრება.

2. კერძო საკუთრება. მათ შორის: ა) ინდივიდუალური საკუთრება; ბ) ჯგუფური საკუთრება; გ) კოოპერაციული საკუთრება.

3. საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრება. მათ შორის: ა) საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების საკუთრება; ბ) რელიგიური ორგანიზაციების საკუთრება.

4. შერეული საკუთრება.

5. უცხო სახელმწიფოთა, მოქალაქეთა (ფიზიკურ პირთა) და საერთაშორისო ორგანიზაციათა საკუთრება. მათ შორის: ა) უცხო სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა საკუთრება; ბ) უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკუთრება; გ) საქართველოს სახელმწიფოს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საკუთრება საზღვარგარეთ.

საკუთარი ურთიერთობის სისტემაში დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთრების, როგორც ობიექტების, ისე სუბიექტების გარკვევას. ასე, მაგალითად, საქართველოში საკუთრების ობიექტად ითვლება: მიწა და მისი წიაღი, შიგა და ტერიტორიული წყლები, საჰაერო სივრცე, კონტინენტალური შელფი და მისი რესურსები საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, ფლორა და ფაუნა, საწარმოები, წარმოების, ინფორმაციის და ტრანსპორტის საშუალებები, საბინაო ფონდი, ინტელექტუალური მოღვაწეობის პროდუქცია, ქონების სამეურნეო და სხვა გამოყენების შედეგი, ძვირფასი ლითონები და ქვები, ფული, ფასიანი ქაღალდები, ფასეულობები, აგრეთვე, სხვა ქონება.

საკუთრების სუბიექტად მიჩნეულია: თავად საქართველოს რესპუბლიკა, ავტონომიური წარმონაქმნები, ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, სამეურნეო გაერთიანებები. საზოგადოებრივი, პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციები, უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეები და იურიდიული პირები, უცხო სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები.

საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულება და ოდენობა შეუზღუდავია. ამასთან, ისევე როგორც საერთოდ, საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების დაცვის გარანტი არის სახელმწიფო.

**კლიმენტ ელიზბარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომ არ



თბილისის პოლიგრაფიული კოლეჯის დირექტორი თამაზ ინწკირველი

წიგნის გამოცემა, საერთოდ, მასობრივი ინფორმაციის ბეჭდვითი ინდუსტრია წარმოუდგენელია მოწესრიგებული პოლიგრაფიული ბაზის გარეშე. ხოლო ამ უკანასკნელის დონესა და წარმადობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს იქ დასაქმებული მრავალფეროვანი პოლიგრაფიული კადრების პროფესიონალიზმი, შრომის კულტურა, ეროვნული თვითშეგნება...

ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით: ბევრმა და განსაკუთრებით ახალგაზრდებმა კარგად არ იციან სად, ვინ და რა პირობებში ამზადებს იმ მრავალრიცხოვან კადრებს, რომლებიც შემდეგ პოლიგრაფიულ სფეროში ილვწიან და დაუღალავად ემსახურებიან ეროვნულ საქმეს.

ჩვენმა კორესპონდენტმა სწორედ ამ სფეროსთან დაკავშირებული საჭირბოროტო პრობლემების გაშუქების მიზნით ჩამოართვა ინტერვიუ თბილისის პოლიგრაფიული კოლეჯის დირექტორს ბატონ **თამაზ ინწკირველს**, რომელიც 1984 წლიდან უდგას სათავეში კადრების ამ სამჭედლოს.

ბ-ნი თამაზი ერთ-ერთი ცნობილი ქართველი პოლიგრაფისტი გახლავთ, რომელმაც რთული და საინტერესო პროფესიონალური გზა განვლო რიგითი ლინოტიპისტიდან ვიდრე კოლეჯის დირექტორობამდე. 1985 წელს იგი სრულიად ახალგაზრდა, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე შევიდა თბილისის პოლიგრაფიულ პროფტექნიკურ სასწავლებელში და მისი დასრულების შემდეგ ლინოტიპისტად დაიწყო მუშაობა მაშინდელ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობაში (დღეს იგი გამომცემლობა „სამშობლოა"). პარალელურად სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. სტამბის სიყვარულმა მაინც თავისი გაიტანა — დაამთავრა მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტიც.

თამაზ ინწკირველი ამავე დროს ერთი ტრადიციული ქართული ჯანსაღი ოჯახისთავია — ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

• • •

**— ბატონო თამაზ, ორიოდე სიტყვით გვიამბეთ თქვენი კოლეჯის შესახებ.**

— მას დიდი ხნის ისტორია აქვს და შარშანდლამდე იწოდებოდა როგორც თბილისის მესამე პროფტექნიკური სასწავლებელი. შარშან კი განათლების სამინისტრომ მიანიჭა კოლეჯის სტატუსი. იგი ერთადერთი იყო და დარჩა მთელს საქართველოში და რესპუბლიკის პოლიგრაფიულ საწარმოებს უმზადებს კვალიფიციურ კადრებს. ესენია: ლინოტიპისტები, ხელით ასოთამწყობები, მაღალი ბეჭდვის მბეჭდავები, ოფსეტური ბეჭდვის მბეჭდავები, მკინძავები.

**— და რაკი კოლეჯია, თქვენთან სწავლაც, ალბათ, ფასიანი იქნება?**

— არა, ჩვენთან სწავლა ჯერჯერობით უფასოა, პირიქით, მოსწავლეებს ენიშნებათ სტიპენდია, საწარმოო სწავლების პერიოდში კი ეძლევათ გამომუშავებული თანხის ორმოცდაათი პროცენტი.

**— ვის ღებულობენ კოლეჯში?**

— კოლეჯში მიიღებიან როგორც საშუალო სკოლა, ისე ცხრაკლასდამთავრებულები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთან ისეა აწყობილი სწავლების პროგრამა და პროცესი, რომ აქ მოხვედრილი ცხრაკლასდამთავრებულნი იღებენ სიმწიფის ატესტატსაც.

**— თქვენი მოსწავლეები სად გადიან პრაქტიკას?**

— დედაქალაქის პოლიგრაფიულ საწარმოებში. ამასთანავე ადგილზე, თვით კოლეჯში. ამ მხრივ, უნდა ითქვას, რომ საამისოდ ურიგო პირობები როდია. ჩვენთან არსებობს საწარმო-სახელოსნოები სრული პოლიგრაფიული ციკლით.

**— და მაინც, რა განსხვავებაა ყოფილ პროფტექნიკურ სასწავლებელსა და ახლანდელ კოლეჯს შორის?**

— ძალიან დიდი! პროფტექნიკური სასწავლებელი ამზადებდა მხოლოდ მუშა-სპეციალისტებს, კოლეჯი კი მოამზადებს უმცროს ინჟინერ-ტექნოლოგებსაც.

კოლეჯში სწავლა მიმდინარეობს ორ ეტაპად, თითოეული ეტაპი ორწლიანია. პირველ ეტაპზე კვლავინდებურად მზადდებიან მუშა-სპეციალისტები. მეორე ეტაპზე ხვდებიან ის შერჩეული მოსწავლეები, განსაკუთრებული ნიჭი, მონდომება და მიდრეკილება რომ გამოამჟღავნეს. მომავალში სწორედ ისინი იქნებიან უმცროსი ინჟინერ-ტექნოლოგები, რომლებმაც თვისობრივი სიახლე უნდა შეიტანონ მთელი რესპუბლიკის პოლიგრაფიულ საწარმოთა სამუშაო პროცესებში.

**— ბატონო თამაზ, საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ კოლეჯდამთავრებულ დედაქალაქელს რაიონის სტამბისკენ ნაკლებად გაუწევს გული. ჰოდა...**

— მართალია, და კარგად ვხვდები, რისი თქმაც გსურთ!.. რაიონის სტამბების მაღალპროფესიონალური კადრებით დაკომპლექტების გასაღები და ბედ-იღბალი თვით რაიონის ხელმძღვანელებსა და უშუალოდ სტამბის დირექტორის ხელთაა. სწორედ მათ უნდა აღმოაჩინონ და შეარჩიონ ისეთი ახალგაზრდები, რომლებსაც უყვართ, გული მიუწევთ პოლიგრაფიისკენ და მტკიცედ გადაუწყვეტიათ თავიანთი ბედი სწორედ ამ საინტერესო სფეროს დაუკავშირონ. ასეთი ენთუზიაზმის ახალგაზრდები ყოველთვის მოიძებნებიან ცხოვრებაში. ამას საკუთარი გამოცდილებითაც ვამბობ. უნებურად მახსენდება ჩემი პირველი ნაბიჯები, რომლებიც უფროსი თაობის მესტამბეებმა გადამადგმევინეს. საკუთარი მონადინებითა და წვალებით აწყობილ წერილს რომ ვნახავდი მეორე დილით გაზეთში, ქვეყანა ჩემი

მეგონა! ანდა, მარტო ის რად ღირდა, რომ მე, ერთი ჩვეულებრივი ყმაწვილი სხვებთან ერთად ვღებულობდი მონაწილეობას გაზეთის დაბადებაში და ყველაზე ადრე მე ვიგებდი მსოფლიოს ამბებს... ეს იყო წრფელი განცდა-სიყვარული, რომელმაც სამუდამოდ დამაკავშირა ამ საინტერესო სფეროსთან. მკითხველი, ალბათ, გამიგებს და მომიტევებს ამ ლირიკულ გახსენება-გადახვევას! ჰოდა, ამით იმის თქმა მსურს, რომ რაიონის სტამბის დირექტორებმა ადგილებზე გულთბილი, საქმიანი კონტაქტები უნდა იქონიონ საშუალო სკოლებთან, ადგილობრივ ახალგაზრდობასთან, რაც, არსებითად, ბევრგან ასეც ხდება. რაიონის სტამბის დირექტორების მომართვის საფუძველზე ვღებულობთ ბევრ ახალგაზრდას და ჩვენი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ისინიც, ჭირობისამებრ, უბრუნდებიან მშობლიურ კუთხეს.

სურათი მკვეთრად შეცვალა: როგორც ყველგან, ისე ჩვენთანაც ერთობ გაძნელდა კადრების დასაქმება-განაწილება. ეს არც არის გასაკვირი — დღეს-დღეობით გამომცემლობები და პოლიგრაფიული ბაზები სავალალო მდგომარეობაშია, სტამბები იხურება, ქაღალდს საარაკო ფასი დაედო, არ არის სხვადასხვა სახის სასტამბო მასალები, საზოგადოების სულიერი საზრდო — წიგნი, ველარ გამოდის... მაგრამ მე ოპტიმისტი კაცი ვარ და მჯერა: ამქვეყნად უსასრულო არაფერია, დროებით კრიზისსაც მოეღება ბოლო. თუმცა, არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ერთი საგულისხმო გარემოებაც: საბაზრო ეკონომიკის პირობებში ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებიან კოოპერატიული გამომცემლობები და სტამბები, სადაც საკმაო რაოდენობის პროფესიონალური პოლიგრაფისტები ესაჭიროებათ. ასე

გვქონდა მჭიდრო და მეტად ნაყოფიერი თანამშრომლობა. მართალია, ეს კონტაქტები დღედღეობით მეტად შესუსტდა და თითქმის სიმბოლურ მნიშვნელობასღა ინარჩუნებს, მაგრამ თუ პოლიტიკური საკითხები დადებითად გადაიჭრება და რუსეთთან დაიდება ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური ხელშეკრულება, ჩვენი ურთიერთობებიც კვლავ აღორძინდება. გარდა ამისა, ამ რამდენიმე წლის წინათ კავშირი დავამყარეთ ვარშავის ანალოგიურ სასწავლებელთან და პროგრამაც შევიმუშავეთ სტუდენტების გაცვლა-გამოცვლისა და სასწავლო გამოცდილების გაზიარების შესახებ, მაგრამ... ერთი რამ ყველამ უნდა გავიცნობიეროთ: იქ, სადაც ომია, სისხლი იღვრება, ყოველ ნაბიჯზე ძარცვა-გლეჯა და ავტომატების უაზრო კაკანი სუფევს, ნებისმიერ უცხოელს მსგავს პირო-

# დაიკარგოს პოლიგრაფისტი



**— როგორი სურათია განაწილების მხრივ?**

— ეეეჰ, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა სტამბის დირექტორები გამოსაშვებ გამოცდებზე გვესწრებოდნენ და ერთმანეთში შეცილება ჰქონდათ — არა მე წავიყვანო წარჩინებულ მოსწავლეებს, არა — მეო! დღეს? უკანასკნელი წლების პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა ძველი

რომ, ჩვენი კოლეჯი მაინც მათი აღზრდის ღირსეული პოლიგრაფიული ბაზა იქნება!

**— საინტერესოა, არის თუ არა რაიმე შანსი და პერსპექტივები უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობისა?**

— როგორ არა, როგორ არა! ადრე, მაგალითად, მოსკოვის ოლქის ჩეხოვის პოლიგრაფიულ კომბინატთან

ბებში არამცთუ თანამშრომლობა, არამედ ამ თანამშრომლობაზე რაიმე სიტყვისა და წინადადების მოსმენაც კი არ სურს. ასე, რომ თანამშრომლობის ერთ-ერთი უპირველესი პირობა პოლიტიკური სტაბილიზაციაა!

**— რას იტყოდით კოლეჯის პედაგოგიურ კოლექტივზე?**

— საბედნიეროდ, ამ მხრივ პრობლემები არ გვაწუხებს — ჩვენი ასკაციანი პედკოლექტივი ჯანსაღი და მაღალპროფესიულია. ს წ ა ვ ლ ე ბ ი ს პროცესს უძღვებიან გამოცდილი პრაქტიკოსები — საწარმოო სწავლების ოსტატები.

ჩვენი სასწავლებელი შემდგომშიც არ უღალატებს თავის სახელოვან ტრადიციებს. ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რათა საქართველოს არ დაეკარგოს მაღალპროფესიული პოლიგრაფისტი, რაც ეროვნული უბედურების ტოლფასი იქნება.







# გულო, ჩადექ საგულესა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა, ისეთი ვინ იქნება, ბავშვობისას რამისგან შეშკრთალ-შეშინებული, დედის უბეს არ მისუტებოდა. შეშფოთებული დედა კი, აშკარად რომ უგრძვნია შვილის გულის ბაგაბუგი, ალერსიანად მოეფერებია გულმკერდზე და იავნანასავით ჩაუბუტბუტებია: გულო, ჩადექ საგულესა!..

და მართლაც — პაწია აფორიაქებული გულიც მალე ისევ ჩამჯდარა თავის ბუდეში!.. ეს ბავშვობისას! მაგრამ მერე, როცა ულმობელი ცხოვრებისგან ადამიანის გულს ათასგვარი სენი ეპარება, აქ დედის ლოცვა-ალერსი უკვე აღარ სჭრის და გამოცდილი კარდიოლოგის ხელია საჭირო...

დღეს საქართველოში კარგად არის ცნობილი წამყვანი კარდიოლოგი, საქართველოსა და საკავშირო პრემიების ლაურეატი, პროფესორი **ᲒᲣᲚᲜᲐᲠᲐ ᲩᲐᲨᲘᲫᲔ**. იგი ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ინფარქტის განყოფილების ხელმძღვანელია. ეს განყოფილება, რომელიც საქართველოში ყველაზე დიდია, 1966 წელს შეიქმნა და ლენინგრადისა და მოსკოვის მსგავს განყოფილებების შემდეგ მესამე იყო მთელ კავშირში.

ქალბატონი გულნარა ერთი მონოგრაფიისა და ორასი ნაშრომის ავტორია. აქედან ორმოცდაათი მათგანი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გამოქვეყნებული. იგი მრავალი საერთაშორისო სიმპოზიუმისა და კონფერენციის მონაწილეა.

მუხთალმა წუთისოფელმა სასტიკი გამოცდა მოუწყო ამ სათნო ქალს, მაგრამ თავის სვეკრულობას განსაცვიფრებელი კეთილშობილებითა და დიდსულოვნებით უმაგრდება: გაჭირვებული პაციენტისთვის ის ისეთივე მშვიდი, გულისხმიერი და სიკეთის განსახიერებაა!

სად პოულობს ქალბატონი გულნარა სათნოების ამ ამოუწურავ წყაროს, ურომლისოდაც შეუძლებელია იყო ღირსეული მოქალაქე და შესანიშნავი სპეციალისტი? სიცოცხლის, ადამიანების სიყვარულსა და იმ სამ ნორჩ შვილიშვილთან ურთიერთობაში, სანთლებად რომ უნთია მკურნალს.

ჩვიდმეტი წლის ზურიკო თბილისის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტია და ამჟამად აშშ გადის ერთწლიან სტაჟირებას. ხუთი წლის მარიამი და ორი წლის დათუნა კი ბებიას კალთას არიან გამობმულნი და რომელიმე მათგანი თუ რამემ შეაკრთო, საქვეყნოდ ცნობილი კარდიოლოგიც ძველი ქართველი ქალივით ამშვიდებს თავის პაწიებს — გულო, ჩადექ საგულესა!..







ლადო სულაბერიძე

# ინფარქტიანთა დასის ლედი

ინფარქტიანთა დასის ლედი გულიკო ჩაფიძე
შემობრძანდება და იახლებს თან დათნაფიცებს.

ნერვებდაწყვეტილ გულიანთა მკერდს აყურადებს ,
დასცქერის ხაზებმიმოგრეხილ კარდეო სურათებს.

ეჩურჩულება ასისტენტებს და ასპირანტებს.
გმობს წუთისოფლის ელვა-სტრესებს, — გულთა პირატებს.

დაგრეხილ ხაზებს რო დასცქერის, — გულში გაივლებს
ამნაირ ფიქრს და
გულგაბზარულს მიუყვავილებს, —

არც ისე ცუდი სურათია თქვენი გულისო...
ისეთიაო ხმა გულიკოსი, ვით გუგულისო.
კი, გუგულისა,
კი, ირმისა,
კი, კი ფოთრისა...
მაგრამ შიგ ნისლიც შერეულა დედის შფოთისა.

გაბზარულ გულზე დაგაფენ
ვარდისფერ ღრუბლის ქულებს.
მოწყალე გულით მკურნალობ
სხვათა გაბზარულ გულებს.

უფალმა შენში განფინა
ქართვლის დედათა სული.
მოდი,
დაჭრილ გულს შეგიხვევ
ვარდისფერ ღრუბლის ქულით.

ხო ვხედავ, ვხედავ შენი გულის კარდეო სურათს,
რაზეც დაკლაკნილ ელვებივით ხაზები ცურავს.

შვილდაკარგული ქალის გული გაბზარულია,
ეს სამუდამოდ გაგლეჯილი დედის გულია.

. . . . . . .

შემობრძანდება და იახლებს თან დათნაფიცებს
ინფარქტიანთა დასის ლედი — გულიკო ჩაფიძე.

# დათუნია



მოთხრობა

ნუნუ ჭადაგიძე

ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიყავი მიტინგზე. ბიძაჩემს ვახლდი, ვახოს... ვილაცეები გამოდიოდნენ ფიცარნაგზე და მიკროფონში რაღაცას ლაპარაკობდნენ. თითოოროლა სიტყვას თუ ვარჩევდი, საბოლოოდ არაფერი მესმოდა. ბიძაჩემს ხელზე მოვქაჩე:

— რაზე ლაპარაკობენ?

ბიძაჩემი ჰატიოსნად შეეცადა, რაიმე გაეგო დინამიკების ხრიალში და მერე ჩემთვისაც აეხსნა. პირდაპირ გული ამიჩუყდა. ჩემი ვახო, ვახუშტი და ვახვახი. ზოგიერთებს რომ ჰკითხო, ასე და ისეო, ვახოს ხუხვა უყვარსო, ნამეტანი, მგონი თავზე მეტად უყვარსო... მართლაც ასეა, მაგრამ მაინც ჯიგარი ვინმეა. მაგაზე გამგები კაცი არ მეგულება. ბურთი ვინ მიყიდა? ვახომ. კინოში ვინ წამიყვანა? ვახომ.

ასე ვიდექით ორივენი, ხალხის დუნდგოში ჩაჭედილები. მოთმინებით ველოდი, თუ რას მეტყოდა ბიძაჩემი. უცბად ფიცარნაგზე ერთი გაწევ-გამოწევა შეიქნა. ვილაცეები გზას იკაფავდნენ მიკროფონისკენ, მაგრამ იქ მყოფები არ უშვებდნენ.

როგორც ჩანს, ჩემზე ადრე ეს ამბავი სხვებმა შეამჩნიეს, ირგვლივ ყვირილი ატყდა:

— მიეცით მიკროფონი, მიეცით! ლაპარაკის უფლება ყველას აქვს!

ამ ყვირილმა ფიცარნაგზე მყოფები შეაფერხა, ის ვილაცეები კი უფრო წააქეზა, უფრო მონდომებით გაასარჯნენ, დამხვდურნი მისწი-მოსწიეს და ფიცარნაგზე გამოგვეცხადა... ვინ თუ იცით?

ვინ და დათუნია.

არ იცით, ვინ არის დათუნია? ჩვენი დათუნია, მთელი ქუჩის, უბნის თუ დასახლების... ერთი სიტყვით, ყველასი. დათუნია, რომელმაც ბავშვობიდანვე დაგვამახსოვრა თავი, თუნდაც სიმაღლით. სარეკელა ჭოკივით მაღალი გაიზარდა, მაგრამ რატომღაც უკან გადაიზნიქა. თავ-კისერი წინ აქვს გაწვდილი, ალბათ წონასწორობის დაცვის მიზნით. გვერდიდან თუ შეხედავ, ნამდვილი კითხვის ნიშანია. პირისპირ რომ შემოგხვდეს, იფიქრებ, აგერ-აგერ ხარივით დამემგერებაო, მაგრამ ნურავის შეეშინდება. ბატკანივით უწყინარია ჩვენი დათუნია. ხანდახან ბიჭები შეუჩნდებიან და აგიჟებენ, უწმაწურ გინებას ასწავლიან, თორემ ისე მისგან მთელი დღე ხმას ვერ გაიგონებ. რაიმე საქმეს თუ დაავალებ, გაგიკეთებს. გასამრჯელოს მადლობის უთქმელად იკრავს ჯიბეში და მერე კაპიკ-კაპიკ აბარებს დედამისს, მარგალიტას, თუ მანამდე მისმა სულთამხუთავმა ბიჭებმა არ გამოცინცლეს. დედამისის ცეცხლივით ეშინია დათუნიას, საკმარისია მარგალიტას თვალების ერთი გადაბრიალება, რომ ერთიანად მოიბღუნძება და მართლაც ნამდვილ კითხვის ნიშანს ემსგავსება, თავი ლამის მუხლებთან მიიტანოს.

ახლაც ეტყობა, ბიჭებს გაუგიჟებიათ დათუნია, გზაც იმათ გაუკაფეს მიკროფონისკენ.

როცა ფიცარნაგზე დათუნია გამოჩნდა, ხალხში ერთი ამბავი ატყდა. ვინც მას იცნობდა, ხმამაღლა აყვირდნენ, ამას აქ რა უნდა, აქედან მოაშორეთო. ვინც არ იცნობდა, აცალეთ, თავის სათქმელი მაგანაც თქვასო.

ფიცარნაგზე ორი თუ სამი კაცი აიჭრა, რათა დათუნია იქაურობისთვის მოეცილებინათ. მიაღწიეს კიდეც მიზანს, დათუნია ძირს ჩამოაბრძანეს. მისი გამგიჟებელი ბიჭები სადღაც გაშპნენ.

მიტინგი ისევ გაგრძელდა, დადუმებული დინამიკები ისევ აგუგუნდნენ. მე ბიძაჩემი შევანჯღრიე, რაიმე მიამბე-მეთქი. ისე შემომაჭყიტა სასმელისგან აპრიალებული თვალები, თითქოს ღრმა ძილისგან გამოფხიზლდაო. მგონი მართლა ეძინა. ორიოდე წუთის განმავლობაში მიტინგი თავისი წესითა და რიგით მიდიოდა. კიდევ ცოტა ხანიც და, ერთიც ვნახოთ, დათუნია ისევ არ გამოგვეცხადა?

აი, ეს კი მართლაც უცნაური ამბავი იყო. ჩვენი საწყალი, თვინიერი დათუნია, მხოლოდ მაშინ რომ ამოიღებდა ხმას, თუ რაიმეს შეეკითხებოდი, ახლა უკვე თვითონვე აძვრა ფიცარნაგზე, სრულიად მარტოკა. მხარში აღარ ედგნენ მისი სულთამხუთავები. მიკროფონთანაც მოახერხა მისვლა და გაოგნებული ხალხის წინ მთელი თავისი სიმაღლით აისვეტა.

ხალხში წინანდელზე უარესი ყვი-

რილი ატყდა. „ეს გიჟი ველარ უნდა მოაცილოთ აქაურობას?“ გაჰყვიროდნენ მთელი ხმით. თუმცა ისეთების ხმაც გავიგონე, დათუნიას მხარს რომ უჭერდნენ, დააცადეთ, იქნებ რა უნდა, რომ თქვასო.

— აცალეთ, აცალეთ, თქვას, რა უფლება გაქვთ, რომ უკრძალავთ, — გაიძახოდნენ მთელი ხმით, თან თვალს უკრავდნენ ერთმანეთს.

დათუნიას მიკროფონი ეჭირა და მთვრალივით ქანაობდა.

— თქვი, თქვი, დათუნია, — აქეზებდა ხალხი. დათუნიამ ერთ ხანს კიდევ იქანავა, მერე პირი ფართოდ დაალო და... ყოვლად საზიზღარი გინება დაახეთქა. საწყალი დათუნია, ბიჭები გინების მეტს არაფერს აზეპირებინებდნენ. ჰოდა, როცა დაფიქრდა, რა ვთქვაო, მეტი ვერაფერი გაიხსენა.

დათუნიას „სეფე-სიტყვას“ მძაფრი რეაქცია მოჰყვა ხალხში. უმეტესობა აღშფოთდა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს. ზოგიერთებმა კი, ასეთთა რიცხვი საკმაოდ ბევრი იყო, მთელი სულით და გულით ერთობოდნენ. დათუნიას სულთამხუთავი ბიჭები ხომ სიცილით იჭაჭებოდნენ, ნამდვილი ზეიმი ჰქონდათ. რას იფიქრებდნენ, თუ ასეთი ნომერი გამოუვიდოდათ. ფიცარნაგზე მყოფები საჩქაროდ მივარდნენ დათუნიას, მიკროფონი ხელიდან გამოგლიჯეს და ძირს ჩამოაბრძანეს.

ისევ დაიწყო მიტინგი, ახლა მგონი უკვე მესამედ. გავიდა ცოტა ხანი და დათუნია ისევ აფოფხდა ფიცარნაგზე...

ისეთი ამბავი ატყდა, კალმით რომ არ აიწერება, როგორც წიგნებში სწერია ხოლმე. დათუნია, ჩვენი უწყინარი, ბატკანივით მშვიდი დათუნია, ახლა ნამდვილ გიჟს ჰგავდა. საწყალს, ეტყობა, თავში დაარტყა, როგორც კი ფიცარნაგს დაადგა ფეხი და ხალხს მაღლიდან გადმოხედა. ღონე არც ადრე აკლდა, ახლა კი ნამდვილ ბაყბაყ-დევს დაემსგავსა, ათი კაცი მაინც ეჯაჯგურებოდა და მაინც ვერაფერს უხერხებდნენ, ხარივით მიიწევდა მიკროფონისკენ. ვილაცეები აცვივდნენ ფიცარნაგზე, რათა იქაურებს მიშველებოდნენ და დათუნია მოეცილებინათ თავიდან, მაგრამ აქ ერთი უცნაური ამბავი მოხდა: დათუნიას მხარის დამჭერნი აქაც გამოუჩნდნენ, თავის მხრივ ისინიც აცვივდნენ ფიცარნაგზე.

ფიცარნაგზე ყველაფერი ერთმანეთში აირია, უკვე ძალზე ძნელი იყო იმის გარკვევა, ვინ ეხმარებოდა დათუნიას და ვინ არა. მთელი ფიცარნაგი ზღვასავით ღელავდა და აქეთ-იქით ირწეოდა. ეს ხალხსაც გადაედო, ხალხიც აღელდა. ირგვლივ ყურისწამღები ყვირილი ატყდა, მაგრამ შეუძლებელი იყო იმის გარჩევა, ვინ რას გაჰყვიროდა. მთელი მიტინგი ზღვასავით ირწეოდა და ბობოქრობდა, საცა ნაპირებს გადალახავდა კიდეც ნამდვილ ზღვასავით. უკვე საშიშიც იყო იქ დგომა, მაგრამ მე შიშს მაშინ სრულებით ვერ ვგრძნობდი, ისე ვიყავი გაბრუებული. რაღაც ძალას ვგრძნობდი, რომელიც თითქოს სადღაც მიმაქანებდა. ბიძაჩემს კი, მგონი, სრულებით დაჰკარგოდა გრძნობა. ამ ღრიალში და ვაი-უშველებში დათუნია ნაბიჯ-ნაბიჯ მიიკვლევდა გზას მიკროფონისკენ. ო, როგორ შემეცოდა!

— მიეცით მიკროფონი მაგ საცოდავს, — ავყვირდი მთელი ხმით, — ხომ ხედავთ, მიკროფონი სათამაშო ჰგონია! აცალეთ, ითამაშოს! მაგრამ ვინ გაიგონებდა ჩემს სიტყვებს, საკუთარი ხმა მე თვითონაც არ მესმოდა.

ამასობაში კი დათუნიამ მიაღწია მიკროფონს, რა შესახედავი იყო... თავი ჩვეულებრივზე უფრო დაბლა დაეხარა, ახლა ნამდვილად ჰგავდა ხარს. თვალებიც სისხლისფერი გახდომოდა. თითქოს მართლა რქებით უნდა დაეძგეროს ვილაცასო. მის ირგვლივ ხალხის ცოცხალი გორგალი ირწეოდა. უკვე მუშტი-კრივზეც გადავიდნენ, დათუნიას სულთამხუთავი ერთი ბიჭი შევამჩნიე მათ შორის, შუბლზე კოპი აჯდა. გამიხარდა, ახია შენზე-მეთქი, გავიფიქრე. მერე თითქოს სახანძრო მანქანის ხმაც მომესმა, ალბათ წყლით უპირებდნენ დათუნიას გაგრილებას. სხვა საშველი მართლაც არ ჩანდა. მაინც ვინ იფიქრებდა, თუ ასეთი ღონიერი იქნებოდა... მიკროფონამდე ახლაც მიაღწია, დათვივით წაეპოტინა და ორივე ხელით ჩაბღუჯა.

ის იყო პირიც გააღო დათუნიამ, რაღაც უნდა ეთქვა, რომ უცბად გაშეშდა, ხმაც ვერ დასძრა, თვალები კიდევ უფრო გადმოეკარკლა. ორიოდე წამი იყო ასე გაშეშებული. უეცრად მიკროფონი ძირს დააგდო (სანატრელი, ეგზომ სასურველი მიკროფონი!). ერთი ნახტომით გაჩნდა ფიცარნაგის კიდესთან, სასწრაფოდ გადაეშვა ძირს და უკანმოუხედავად მოკურცხლა. მძიმე ტორტმანით მიჰქონდა აწონილი სხეული, სირბილით კი საკმაოდ სწრაფად გარბოდა.

გაოცებულმა ხალხმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, ვერ მოასწრო გაეაზრებინა, თუ რა მოხდა, რომ ფიცარნაგზე ახლა დათუნიას დედა, მარგალიტა ავიდა. თურმე სწორედ მისი დანახვის შეეშინდა დათუნიას და იმიტომაც მოკურცხლა.

— ოო, მარგალიტა! ამდენ ხანს როგორ ვერ მოვიფიქრეთ, მარგალიტასთვის დავვეძახა, — ახმაურდა ხალხი. ყველას გულწრფელად უკვირდა, ეს რამ დაგვავიწყაო. მარგალიტა მიკროფონთან მივიდა, საშ[illegible] წყევლა-კრულვა დაატეხა თავს იქ შეყრილ ხალხს.

— თქვენ ხალხი ხართ? — გაკაპასებით ამბობდა მარგალიტა, — თქვენ ადამიანები გქვიათ? რა გინდოდათ დათუნიასთან, რას მოათრიეთ აქ. ხომ იცით, რომ გიჟია. თუმცა რა, მაგაზე მეტი ჭკუა არც თქვენთვის მოუცია გამჩენს..

ეს ლანძღვა არავის არ ესიამოვნა. ჩვენთან რა გინდა, ვილაცეებმა შეაგულიანესო, აყვირდნენ. ზოგიერთებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს. ეს რა ხდება, თავი საგიჟეთში გვგონიაო. ჯერ შვილი, მერე დედა, ორივენი ერთმანეთზე უარესები არიანო.

მარგალიტამ იყვირა, იკაპასა, გული მოიოხა და მერე გულამოსკვნით ატირდა ამდენი ხალხის წინაშე.

— ვინ რა იცის, რა გამწარებული ვარ, — ამბობდა ტირილით. — მთელი ცხოვრება სიხარული არ მინახავს. ახლა კიდევ, ღმერთმა როგორ დამსაჯა, ასეთი შვილი რომ მომცა. რა გინდათ მაგისგან, რას ერჩით, ასე რამ გაგიქვავათ გული. ღმერთისა მაინც არ გეშინიათ!

მარგალიტა ტირილით ჩამოვიდა ფიცარნაგიდან და თავისი გზით წავიდა. მისმა ცრემლებმა ხალხზე ისე იმოქმედა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა. ყველას გულით შეებრალა ის საცოდავი ქალი. მართლაც, რა უბედურია ეს საწყალიო, ჩაილაპარაკეს. როგორღაც უხერხულობას გრძნობდნენ, თუმცა თავი ყველას უდანაშაულო ეგონა. ლაპარაკის იშტა დაეკარგათ. აღარ უნდოდათ მიტინგი. დაღუნეს თავები და თავთავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. მიტინგის მომწყობებმაც სხვა დროისთვის გადადეს მიტინგი.

მე და ბიძაჩემი სულ ბოლოს წამოვედით. მე თავი ერთიანად მიბრუოდა, მიჭირდა იმაში გარკვევა, რაც ჩემს თვალწინ მოხდა.

— ნეტავი საით გაიქცა დათუნია, — ვთქვი ფიქრებში გართულმა.

— ვინ დათუნია? — მკითხა ბიძაჩემმა.

— ვინ და, რაო, დათუნია აღარ იცი?

— მიტინგზე იყო?

— რაო, არ გაგიგია?

ეჰ, ბიძაჩემს თურმე მართლა ზეზეულად ეძინა, არაფერიც არ გაუგია. რაღაც ხმები კი მესმოდაო, დამნაშავესავით ჩაილაპარაკა, როცა მე სიცილი ამიტყდა.

ამ უცნაურ ამბავს ალბათ არც კი გავიხსენებდი, მაგრამ მინდა ბიძაჩემმა წაიკითხოს და გაიგოს, თუ რა მოხდა იმ ხნის განმავლობაში, როცა თვითონ ზეზეულად ეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თენგიზ გიგაური ოთხი ათეული წელია უხმაუროდ ემსახურება იმ საქმეს, რომელიც უყვარს და იცის. იგი მრავალმხრივი ხელოვანია: მოქანდაკე, კერამიკოსი, მინის ოსტატი, წიგნის ილუსტრატორი და რაც მთავარია — პროფესიონალი.

დიდი ნიკოლოზ კანდელაკის მოსწავლეა და მისგან დაჰყვა ის რომანტიკული შემართება, რაც ხელოვანს ხელოვანისაგან განასხვავებს. ფორმის გრძნობა კი მისი ბუნებრივი თვისებაა — მოქანდაკისათვის უმთავრესი და ღვთით მომადლებული, რადგან მისი „სწავლა“ არ შეიძლება (როგორც საერთოდ, რაიმე „გრძნობის სწავლა“ სტენდალის თქმისა არ იყოს, „არ შეიძლება ადამიანი აიძულო, რომ იგრძნოს“).

ჯერ კიდევ აკადემიის სტუდენტი იყო თენგიზ გიგაური, 1958 წელს მონაწილეობა რომ მიიღო გორგასლის ძეგლის კონკურსში და წამახალისებელი პრემია დაიმსახურა. ეს ახალგაზრდა მოქანდაკის დიდი წარმატება იყო, რადგან იშვიათად თუ შეუკრებია რომელიმე კონკურსს ამდენი მაღალმხატვრული ნაწარმოები. ავტორიტეტულმა ჟიურიმ მაღალი შეფასება მისცა ძეგლის პლასტიკურ გადაწყვეტას, მის შინაარსობრივ დატვირთვას. ნიშანდობლივია, რომ 50-იან წლებში საბჭოთა ესთეტიკა იდეოლოგიურ ჩარჩოებში იყო მოქცეული და ყოველგვარი „გადახრა“ სოციალისტური რეალიზმის ვექტორიდან მკრეხელობად, მეტიც, სისხლის სამართლის დანაშაულად აღიქმებოდა. საბედნიეროდ, ქართული ხელოვნება არასოდეს ყოფილა ბოლომდე შებოჭილი იდეოლოგიური არტახებით. ამის დასტური იყო თუნდაც სამოღვაწეო ასპარეზზე „ორმოცდაათიანელთა“ გამოსვლა, იმ თაობისა, რომელსაც თენგიზ გიგაურიც ეკუთვნის.

მანამდე კი, 1957 წელს თ. გიგაური მოსკოვის ახალგაზრდობის ფესტივალზე წარადგენს ვაჟა-ფშაველას პორტრეტს და სპეციალისტთა მაღალ შეფასებას იმსახურებს. საერთოდ, პორტრეტი მხატვრისთვის წამყვანი თემა არ არის, მაგრამ მრავალი წლის შემდეგაც, 1982 წელს, იგი რესპუბლიკურ გამოფენაზე წარსდგება კომპოზიციით „სვანი“, რომელიც, ჩემი აზრით, ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს ქართულ პორტრეტულ ქანდაკებაში. „სვანის პორტრეტი“ მონუმენტურია, მიუხედავად მცირე ზომისა, ფორმის განზოგადებით, სიმკვრივითა და შეკრულობით, აზრობრივი დატვირთვით.

1962 წლიდან თ. გიგაური თბილისის სამხატვრო აკადემიაში მოღვაწეობს. იგი გადის გზას კერამიკა-მინის კათედრის ლაბორანტიდან ამავე კათედრის გამგემდე; ჩაუდგება სათავეში ახლად დაარსებულ მინის სპეციალობას როგორც კომპოზიციის, პროექტირებისა და მოდელირების დისციპლინათა პედაგოგი. საყურადღებო ფაქტია თუნდაც იმიტომ, რომ ქართული ტრადიციული კერამიკა ქანდაკებრივია ფორმათა გააზრებით, სივრცესთან ურთიერთობით, კომპოზიციური გადაწყვეტით. სწორედ 60-70-იან წლებში ქმნის თენგიზ გიგაური მინისა და კერამიკის საინტერესო კომპოზიციებს — ქალის ტორსს ბროლში თუ კერამიკულ ხერვიზებსა და დეკორატიულ თეფშებს.

ამ წლებში მოქანდაკე ჭედურობითაც დაინტერესდა და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ აჰყვა იმ საბაზრო ცდუნებებს, რომელმაც, სამწუხაროდ, ქართული ოქრომჭედლობა ხელოსნობამდე დაიყვანა. ამის დასტურად კმარა ჭედური პანო „სამასი არაგველი“, რომელმაც მეტროს სადგური დაამშვენა 1967 წელს და რომელიც შესრულებულია გოგი გიგაურთან ერთად. ეს არის მკაცრად გაწონასწორებული კომპოზიცია, რომელშიც ბუნებრივადაა შერწყმული მონუმენტური და დეკორატიული ხელოვნების ელემენტები, დაცულია ჭედურობისთვის დამახასიათებელი პრინციპები და ამავე დროს იკითხება როგორც ხუროთმოძღვრული ინტერიერის ორგანული, განუყოფელი ნაწილი. კომპოზიციის ძირითადი მახასიათებელი მაინც ზომიერებაა — ჭეშმარიტი ხელოვნების აუცილებელი საზომი.

ეს ზომიერება, ფორმის შესამჩნევი გრძნობა, ხელოვნებისთვის სავალდებულო პირობითობის ელემენტები სრულად და მთლიანად იჩენს თავს თენგიზ გიგაურის ბოლო წლების ნამუშევრებშიც, რომლებიც ჩვენი დღევანდელობის ტრაგიკულ მოვლენებს ეხმაურება არა დეკლარაციულად, არა პლაკატურად, არამედ ჭეშმარიტი ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ჟღერადობით, როდესაც დომინანტთა წმინდა მხატვრული საწყისებია და არა ლოგიკური თხრობა.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა კომპოზიცია „გადავარჩინოთ“, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს საქართველოს ერთიანობი ს ა თ ვ ი ს ბრძოლის იდეას — გახლეჩილი კუბი და მის შესაერთებლად მომართული მძლავრი მკლავები, დაკუნთული ტორსი მოწოდებაც არის და გაფრთხილებაც, ტრაგედიაც და იმედიც.

ასეთივე განწყობით არის გამსჭვალული ბარელიეფი, რომელსაც რეფრენად დიდი ვაჟას სიტყვები გასდევს: „სიკვდილს აღვუთქვათ სიცოცხლე...“ — ისრით დაკოდილი ლომი კამარის შესაკვრელად და მტერთან შესაბმელად არის მზად და კვლავ გახლეჩილი საქართველო — თითქოს პროკრუსტეს სარეცელზე გაწოლილი ფიგურა, რომელიც ცდილობს შეაერთოს გაპობილი ოვალი. ამ თემას განსაკუთრებული ადგილი უკავია თ. გიგაურის ბოლოდროინდელ ნამუშევრებში და რა მხატვრულ ხერხსაც არ უნდა მიმართავდეს მოქანდაკე, ერთი აზრი გამოსჭვივის ნათლად: ნაპრალი გადის არა გეოგრაფიულ განედსა თუ გრძედზე, არამედ ჩვენს გულებზე.

თენგიზ გიგაური შინაგან ძალას უსვამს ხაზს. მისი ფიგურები შეკრულია და მთლიანი, ფარული დინამიკით დატვირთული. ასეთად იკითხება მხედრის კომპოზიცია, რომელსაც მხატვარმა „საქართველო“ უწოდა და რომელშიც შვეულად და თარაზულად განფენილი მოცულობებია ვარიაცია ლოცვად, ზესწრაფვად, იმედის ჩირაღდნად იკითხება.

ხელოვნებისთვის დიალოგია აუცილებელი. თ. გიგაური არ გაურბის მნახველთა დიალოგს. იგი, „მეორე“ მხატვრულ სინამდვილეს ქმნის და ჭეშმარიტი ხელოვნების ენით გვესაუბრება „პირველ“ სინამდვილეზე, იმაზე, რასაც ვგრძნობთ, ვხედავთ, განვიცდით და რაც „რაციონალური“ ენით არ გადმოიცემა.

თენგიზ გიგაურს ბევრი რამ აქვს კიდევ სათქმელი...

**თენგიზ ფერაძე**



მეტრო „სამასი არაგველი".

# თენგიზ გიგაური



სიკვდილს აღვუთქვით სიცოცხლე

საქართველო





მეველე



ვახტანგ გორგასალი

საქართველოს ერთიანობა და მთლიანობა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ვაჟა-ფშაველა



დეკემბერ-იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭრილობებს ნუ გაგვიხსნით!

ვასილ გვეტაძე

წაქცეულს რომ ფეხს დაადგამ, ვერაფერი ვაჟკაცობაა. ისიც სწორია, ტყვია რომ მანამდე ჭრის, სანამ ცხელია. არც ისაა ურიგოდ ნათქვამი, ჭრილობას მანამ დაადე მალამო, სანამ ჭრილობაა და არ შეხორცებულაო.

ეტყობა, ყველაფერს თავისი დრო და ხანი აქვს, და ტიციან ტაბიძისა არ იყოს, „რაც სათქმელია, ის უნდა ითქვას". ცოტა უხერხულიც კია, სათქმელი გქონდეს და ვერ თქვა?

ვერ თქვი მაშინ, როცა უნდა გეთქვა და ვერც ახლა ამბობ!

თორემ გაჩუმება შეიძლებოდა თუნდაც ამირან კალაძის პასკვილზე? პასკვილზე, რომელმაც მხოლოდ ირონიული ღიმილი გამოიწვია მკითხველში.

რა ამაყად და ომახიანად განაცხადა უზენაესი საბჭოს წევრმა პოეტმა, დავკარი ფეხი და ყაზარმიდან პირდაპირ სახლში წამოვედიო. პოლკოვნიკი მამა მყავდა და ნაწილის მეთაურთან საერთო ენა გამონახაო.

რა გააკეთა, ნეტავ, კალაძის გამოქცევამ ყაზარმიდან? რა შემატა ამირან კალაძის დეზერტირობამ საქართველოს? ესაა ბრძოლა თავისუფლებისათვის? ამით განუცხადა პროტესტი პოეტმა არსებულ ხელისუფლებას?

ეს ერთი...

მეორეც, იქნებ სხვაც აპირებდა სამხედრო სამსახურიდან თავის დახსნას, მაგრამ რა ექნა, გავლენიანი პოლკოვნიკი მამა რომ არ ყავდა და ტრიბუნალიც ტრიბუნალობდა?!

მესამე და მთავარი მაინც სხვა რამეა. საქმე იმაშია, რომ ამ პასკვილის დამწერს მართლა გმირობად მიაჩნია თავისი საეჭვო საქციელი. ამაყობს და თითს გვიქნევს, თითქოს მოღალატე თვითონ კი არა, ჩვენ ვიყოთ, ისინი, ვინც სიმწრით გაიარა ომის გზა.

თურმე, ჩვენ, ვინც ფრონტებიდან ვერ გამოვიპარეთ და ისინიც, გორა-გორა აბალახებულ საძმო საფლავებში რომ დარჩნენ, სხვისი მეომრები ვყოფილვართ და სხვისი მიწა-წყალი აგვიოხრებია.

თითქოს კავკასიის კარიბჭეს ათეულ ათასობით ბუხაიძე არ გადაეფარა და ქერჩი ქართველი ბიჭების ძვლებით არ ამოივსო. თითქოს გიორგი ლეონიძეს სწორედ ამ „სხვის მეომრებზე" იმ დღეებში არ დაეწეროს ეს სტრიქონები:

თქვენი მკერდებით ამაგრეთ
კავკასიონის ბჭეკარი,
გაცოფებული მტარვალი
სიკვდილის თოკით შეკარით.

იხსენით ჩვენი თბილისი,
ჩვენი უკვდავი ქალაქი.
იხსენით შეგინებისგან
მამა-პაპათა ალაგი.

თქვენი ფუძეა ფოლადი,
თქვენი აკვანი მთებია,
თქვენი ჭრილობის წვეთ-წვეთი
ძველ გმირთ სისხლს შეერთებია.

მაგრამ ის, რაც შემდეგ მოხდა თბილისში, გამარჯვების პარკში, პირდაპირ გაუგონარი ამბავია. წარმოუდგენელია და აუნაზღაურებელი ცეცხლკიდება და ცოდვა-ბრალი, აქ რომ დატრიალდა.

ტანზე ბალნის ამბურძგლავია ის სიჩუმე, იმ წუთებში რომ მძვინვარებდა აქ. უმადლო და უმადურმა ხელმა ფარ-ხმალი ააგლიჯა უცნობი ჯარისკაცის საფლავზე, მუზარადი ჩაამტვრია და ფეხით დათელა ქერჩიდან ჩამოტანილი ძვლები.

ომში დაღუპული სამასი ათასი ქართველის სახელით დადგმული დიდებული ძეგლი ტალახითა და ლაფით შესვარეს. ამით, ამ არაკაცური საქციელით, ქვეყნის ყველა კუთხეში გაბნეული ძმათა სასაფლაოები შეურაცხყვეს. იმქვეყნიურ მარადიულ ძილში შეაშფოთეს თერგისა და დნეპრის ყორღანებში, ბრესტის ციხე-სიმაგრეში, ყირიმსა და ქერჩში დამარხული ჩვენი ქოჩორა ბიჭები.

ამ საცოდავ, უმისამართოდ დაკარგულ ბიჭს რაღას ვერჩოდით, ქერჩის მიწიდან რომ ამოვიღეთ და აქ დავფალით. ასე უნდა ალზევებულიყო სატანა, რომ ეს სიმბოლური არქიტექტურული ანსამბლი ნაცარტუტად ექცია?

გეხლო, რარიგ მჩატე ხარ,
რომ კვამლივით როკავ...
ვინც ეს ლოდი დატება,
მან ის ორჯერ მოკლა!
რომ გცოდნოდა, გამვლელო,
გულს გაუბზარავდი?
ნახევარ საქართველოს
აქ ფარ-მუზარადით
ძინავს, ძინავს... კრიალი
სარკეების ალოს.
აქ სიბერე კი არა,
სიჭაბუკე სახლობს.
წყალს მოერლვი ნაპირი,
ყელში ბოლმა გვიჭერს.
ამ საფლავით დატირის
საქართველო ბიჭებს.
მოკუმული პირითა
აქ ჯარი წევს, ჯარი,
ერთდროს ქერჩთან, ყირიმთან,
დარიალთან მდგარი...

აგერ ახლახან დაიწერა ეს სტრიქონები. ცოტა გვიან, მაგრამ მაინც დაიწერა! ადრე კი, ამის დამწერმაც და ზოგიერთმა სხვამაც, სიჩუმე არჩია.

ყველამ კარგად იცის, ამ სიჩუმის ფასი. ისიც კარგად იცის, რაა და ვინაა ამის მიზეზი.

მაგრამ ახლა ხმა თავისთავად ამოდის ყელიდან, თუმცა ტყვიაზე ნათქვამისა არ იყოს, გაცივებული სიტყვა ვერ გაჭრის ისე, როგორც გაჭრიდა მაშინ, სანამ ცხელი იყო.

ასეა თუ ისე, ჭრილობა მაინც ჭრილობაა და ვიღაც-ვიღაცეების ხელისშეწყობით, დღემდე არ შეხორცებულა. მოშუშებას არ აცლიან ჯარისკაცის გულში გაჩენილ წყლულს. ჩუმად და აშკარად ჩხრეკენ და ხელახლა აღვივებენ მიყუჩებულ ტკივილებს, კადრულობენ იმას, რასაც უბრალოდ, ნორმალური ადამიანი ვერ იკადრებს.

მალამოს ხომ არ გთხოვთ, ჭრილობებს ნუ გაგვიხსნით!

მერედა, საიდან მოდის ყოველივე ეს? თევზის თავიდან! ხომ გაგიგონიათ, თევზი თავიდან ყროლდებაო. ყო-



ველ შემთხვევაში, ეს ასე მოხდა საქართველოში. მოყვარე მტერში აერიათ და ღალატი და ერთგულება ერთმანეთისაგან ვერ გაარჩიეს.

წამოიწყებდა სათავიდან ვინმე, კალაძე იქნებოდა თუ პეტრიაშვილი, და ექოსავით შეეხმიანებოდა ქორო, რომელსაც ნაკლებად გაეგებოდა ომი და ისიც, რითაც ასე დიადდება ომგამოვლილი კაცი.

აი, ამიტომაა ეს ტკივილი ასე ძნელად დასაამებელი. საფლავიდან აი ამიტომ ამოგვძახის დღესაც გიორგი ლეონიძის მდუღარე ხმით ტამანის ნახევარკუნძულზე დაცემული უცნობი ქართველი მეომარი:

ლიმილის ხიჭა ვიყავი,
ხეჭზედ არწივი მეხატა!
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა,
ხამშობლოს დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხადა!

ვისაც უნდოდა, ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავცქარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი...

ნუ დაიდარდებ, დედაო,
მწარე სიკვდილის ხევდახა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილო ეურჩებ დედახა.

განა, საქართველოს სახალხო პოეტმა სიმართლე არა თქვა? განა, ეს ცხრამეტი წლის ბიჭი, ღვიძლი ძმა აარა იმათი, აგერ ჩვენს თვალწინ რომ იხოცებიან ქართულ მიწაზე? განა, მისი მეომრული სული არ უდგათ იმ ბიჭებს, შავი ზღვის სანაპიროებს რომ იცავენ საკუთარი სხეულით? განა, მისი სისხლი არ დუღს იმათ ძარღვებში, საქართველოს თავისუფლებას რომ წირავენ თავს ასე დაუყვედრებლად? გადამთიელებისა და მოხეტიალეების ბანდები განა პირველად შემოსდგომიან სოხუმისა და გუდაუთის კარიბჭეებს?

არა, ადრეც ასევე სცადა ფაშისტმა გარეწარმა ჩვენი მშობლიური მიწის აოხრება. სცადა, მაგრამ სწორედ აი ეს ტამანში დაცემული ბიჭი აღუდგა წინ იმათ, „ვისაც უნდოდა, ქართველი რომ გამხდარიყო ხიზანი".

მაშ, რატომ გვგვრის სახეზე ღიმილს ნაომარი კაცის დანახვა, იმ კაცის დანახვა, მთელი ოთხი წელი ამ ბიჭის გვერდით რომ იდგა დარში და ავდარში, ტყვიების წვიმასა და ნაღმების ღმუილში გამოიარა, და ბედია თუ უბედობა, ცოცხალი გადარჩა. ირონია კიდევ უფრო მძაფრდება და სასტიკი ხდება, თუ ნაომარ კაცს მკერდზე ორდენი ან მედალი დაუნახეს.

არადა, ყველაფერი ეს მისი გაჯაჯხირებული სიჭაბუკის სანაზღაუროა.

ცხადია, ყველაზე არ ითქმის ასეთი საყვედური და საზოგადოების ძირითადი ნაწილი სხვანაირადაც ფიქრობს. თუმცა, ერთი წვეთი ნავთისა და ღვინით სავსე ქვევრის არაკისა არ იყოს, სწორედ ის ერთი წვეთი ნავთია, მთელ ქვევრ ღვინოს რომ ამღვრევს და სიცოცხლეს წამლავს.

დასაფასებელია თუ არაა დასაფასებელი, ან, გამოტეხილად რომ ვთქვათ, ფასდება თუ არ ფასდება ომში დაცემულთა და ცოცხლად დარჩენილთა მეომრული ღვაწლი, ეს იმათ სინდის-ნამუსზე იყოს, ვინც ამის შეფასებას აპირებს.

არ იცვლება ქარიანში
ფერი თქორის აშით.
ერთი-ორი მაინც დავრჩით,
ერთი, ორი, სამი...

თვალდახელშუა დნება ვეტერანთა ბოლო, თმაჭაღარა ესკადრონი, სტეპებსა და ტრამალებში რომ დაჰქროდა ერთდროს. შორიდან მოისმის ნაღარების ხმა და ხმლების ჩახა-ჩუხი. იმ შვიდასი ათასი ქართველი მეომრიდან, ომის შუაგულში რომ შეაგზავნა საქართველომ, თითებზე ჩამოსათვლელიღა დარჩა:

წლები, წლები, ძმები, ძმები,
ხაზე ნაღარავი.
ალარაა ალარავინ,
თითქმის ალარავინ.

ეს რა დრონი, ეს რა დრონი,
მეო, ეს რა დრონი...
მკივის, მკივის ესკადრონი,
ხოლო ესკადრონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზედწერილი, მიძღვნილი ფრანგი ერისადმი

საფრანგეთის რევოლუციას, სხვათა მრავალთა შორის, ჰყავდა ორი მგზნებარე პოეტი, ორი ძმა, ორი მოხალისე ჯარისკაცი. ერთის სახელი მეორისაზე უფრო ცნობილია ჩვენშიც — ანდრე-მარი შენიე, დაბადებული 1762 წელს, მეორე — ორი წლით მასზე უმცროსი, 1764 წელს დაბადებული, მარი-ჟოზეფ შენიე. კონსტანტინეპოლშია დაბადებული ორივე. დედა დიდად განათლებული, პოეტური ბუნების მქონე ბერძნის ქალი ჰყავდათ, ზედმიწევნით იცოდა ძველი ბერძნული და ლათინური ენები. ამ გარემოებამ, როგორც ჩანს, წარუშლელი კვალი დააჩნია მისი შვილების ლიტერატურულ გემოვნებასა და მიდრეკილებებს, რაც ყოვლად თვალსაჩინოდ აისახა კიდეც ორივე ძმის შემოქმედებაში. რევოლუციასაც აი, სწორედ ამ სულისკვეთებით შეხვდნენ ეს ძმები. ალმაფრენას იმედის გაცრუება მოჰყვა. უფროსმა — ანდრემ — უფრო ადრე აუღო ალღო ყოველივე იმას, რაც მათ ირგვლივ ხდებოდა და ამის გამო იყო, იაკობინელებმა თავიანთი დიქტატურის დამხობამდე სულ ორიოდე დღით ადრე სიკვდილით რომ დასაჯეს, როდესაც სრულიად შემთხვევით ჩაუვარდათ ხელში. უმცროსს — მათი-ჟოზეფს — შედარებით უფრო ხანგრძლივი ცხოვრება ერგო, შედარებით უფრო ხანგრძლივი გახლდათ მისი იმედგაცრუებაც და, შესაბამისად, ის დევნაც, რასაც იგი ამ იმედგაცრუების გამო განიცდიდა. უკიდურეს გაჭირვებაში დალია სული 1811 წელს.

მანამდე კი მარი-ჟოზეფი რევოლუციური ჰიმნებისა და სიმღერების ტექსტებს თხზავდა, რომელთაგან ზოგიერთი საყოველთაოდ ცნობილ „მარსელიეზას" არ უდებდა ტოლს და დღესაც ამ სიბრტყეზე განიხილება.

მარი-ჟოზეფ შენიე ცნობილი დრამატურგი გახლდათ. „შარლ მეცხრე, ანუ ბართლომეს ღამე" (მეორენაირად — „შარლ მეცხრე, ანუ გაკვეთილი მეფეთათვის") მან რევოლუციამდე დაწერა, მაგრამ ამ პიესის დადგმა მხოლოდ 1788 წლის 4 ნოემბერს განხორციელდა პირველად, ბასტილიის აღებიდან რამდენიმე თვის შემდეგ. მეტი რომ არ შეიძლება, ისე კარგად მოერგო ეს წარმოდგენა ქვეყანაში იმხანად გამეფებულ ვითარებას, ძალიან გახმაურდა და არნახული წარმატება მოუტანა მის ავტორს. წინამდებარე ტექსტი სწორედ ამ წარმოდგენის, ვითარცა წიგნის, „ზედწერილი" გახლავთ და ეს თავისებური ლიტერატურული მანიფესტი, ვფიქრობ, არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული ჩვენი დღევანდელი მკითხველისათვის.

მთარგმნელისაგან

ფრანგებო, ჩემო თანამოქალაქენო, თქვენად, თქვენდამი თაყვანისცემად მინდა მიითვალოთ ეს პატრიოტული ტრაგედია. თავისუფალი ადამიანის ხელით დაწერილ ამ თხზულებას მე ვუძღვნი ერს, რომელმაც თავისუფლება მოიპოვა. თქვენ ეს-ეს არის გადაიგდეთ კისრიდან ადამიანის დამამცირებელი უღელი დესპოტიისა, რისი ნაძალიც იყო სწორედ ეს გაუთავებელი მიძღვნითი ზედწერილები. სულმნათი კორნელი, მაგალითად, ჯულიო მაზარინის იულიუს კეისარს ადრიდა; ვოლტერის „ტანკრედს" ლუი მეთხუთმეტის საყვარლები უკაფავდნენ გზას მაყურებლისაკენ; ასე აკნინებდა მონობა მთელს ერს და მათ შორის იმ ადამიანებსაც, ვინც ღვთის ბოძებული ნიჭითა და ხელოვანებით გაცილებით უფრო მაღლა იდგნენ სხვებზე. მიუხედავად თავიანთი ამ უანგარო ძალისხმევისა, ისინიც კი იძულებულნი იყვნენ, რომ მთავრობის დონემდე დაშვებულიყვნენ. აი, რატომ არის შეუძლებელი ზნეობრივი ამაღლება იქ, სადაც თავისუფლებას არა აქვს გასაქანი. ვით შეიძლება ლაპარაკი იმ ერის სათნოებაზე, რომელიც ბასტილიასა და მეფურ სიგელებს ითმენდა პატიმრობისას?

დამთავრდა ბოლოსდაბოლოს ეს საშინელი უსამართლობა. თქვენ დაამხეთ თვითნებური ხელისუფლება. ამიერიდან თქვენ გექნებათ კანონები და გექნებათ ზნეობა. უნდა შეიცვალოს, უწინარეს ყოვლისა, თქვენი სცენაც. მამაკაცებსა და მოქალაქეებს აღარ შეშვენით დედლებისა და მონების თეატრი. ერთი რამ აკლდათ თქვენს შეუდარებელ პოეტებს დრამისას — ნიჭი არა, რა თქმა უნდა, არც ამბავი, ან ამ ამბის გადმოცემის უნარი — აუდიტორია არა ჰყავდათ. „ბრიტანიკუსი" გასულ საუკუნეში სულ ხუთჯერ წარმოადგინეს, „ბერენიკა" — ოცდაათჯერ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფრანგები იმხანად კლევის უფლისასულს უფრო უკეთ იცნობდნენ, ვიდრე ტაციტუსს.

მე მივხვდი ამას, მე რევოლუციამდე დავწერე ტრაგედია, რომელიც მხოლოდ რევოლუციას უნდა წარმოედგინა. იმ ადამიანებს, ვინც ამ რევოლუციას ეწინააღმდეგება, ვინც აი, ამ წუთებშიც კი, როდესაც მე ამ სტრიქონებს ვწერ, სასაცილოდ იხდის იმ თავს, რომლის წამოწევასაც ამაოდღა ლამობს მაღლა, ცხადია, იმთავითვე თავზარს დასცემდა ყოველივე ის, რაც წმინდა ბართლომეს ღამემ დაანახვა ფრანგებს, მაგრამ ვოლტერმა, ვინც იმდენადვე დიადია, რამდენადაც უბადრუკები არიან ეს საცოდავები, გამგებისათვის გასაგებად დაგვიწიგნა ჯერ კიდევ თავის „ანრიადაში" ეს ამბავი და ისიც იწინასწარმეტყველა, რომ დადგებოდა ის ბედნიერი დღეც, როდესაც ესე ყოველი ეროვნულ სცენაზე იქნებოდა გადატანილი. ისინი, ვისაც ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი ცრურწმენებისათვის, არ არიან ფრანგები. იმათ, ცხადია, ჩრდილოეთს უნდა მიაშუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონ, იქ უნდა დაიბრუნონ თავიანთი დაკარგული ფეოდალობა და თავიანთ სამშობლოდ უნდა აღიარონ ის მშვენიერი და ბედდამწვარი კუთხე ამ ცოდვილი დედამიწისა, სადაც ინკვიზიცია დღემდე ასაჭურისებს მამაკაცებს, სპობს სათნოებას, ნიჭს, აღმშენებლობას და უნაყოფოს ხდის მზით გაჩახჩახებულ ველებსა და მინდვრებს. მე არ მიმაჩნია აუცილებლად, დავუდასტურო ჩემი უღრმესი ზიზღი ამ ყოვლად უგვან მოქალაქეებს, მათ აუგს კი უეჭველად დიდ პატივად მივიჩნევ, რადგან ჩემივე თანამედროვეებისა და მომავალი თაობების თვალით ვჭვრეტ ყოველივე ამას. ისინი ჩემი მტრები არიან, რადგანაც სძულთ თავისუფლება. მე არ დავჯერდები არც ამას — ისინი გამუდმებით უნდა ძრწოდნენ! სხვაც ბევრი თემა შეჰხარის კიდევ ჩემს კალამს და, მიუხედავად ჩემი ახალგაზრდობისა, შეიძლება დრო არ მეყოს, რომ ყველას სათანადოდ ვუპასუხო, მაგრამ ნებისყოფასა და სიმამაცეს არასოდეს მოვისაკლისებ საამისოდ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

ეს სულგანათლებულები იმის თქმასაც კი ბედავენ კიდევ, რომ მეთვრამეტე საუკუნეში რელიგიური ფანატიზმი უკვე აღარ არსებობსო. აი, ის საზარელი სამსჯავროები, ჟან გალასი და შევალიე დე ლაბარის ყოვლად იურიდიული მკვლელობანი, განათუ მეთვრამეტე საუკუნე არ გახლავთ? აგერ, სულ ახლახანს, პარიზის მიწა ვერ გაიმეტეს საქვეყნოდ ცნობილი მოხუცისათვის, ვისი ბადალი გენიოსიც საფრანგეთს იქნება მეორე არც კი ჰყავდეს; „ალზირისა“ და „მუჰამედის“ ავტორისათვის, გალასი და შევალიე დე ლაბარის დამცველისათვის. რა დააშავა ვოლტერმა? ის დააშავა, რომ სამოცდაათი წლის მანძილზე გამუდმებით ებრძოდა ფანატიზმს. რა მოიმკა ამის საზღაურად? ფანატიზმი. რა უნდა ამოიძირკვოს ძირიან-ფესვიანად? ფანატიზმი. მართალია, იგი უკვე მიწაზეა განრთხმული, მაგრამ არსებობს მაინც. ანონიმურ, უხამს, ყოვლად ულიმღამო და უგერგილო პასკვილებს აცხობს; ეპისკოპოსების პირით თავის განჩინებებს უგზავნის ეროვნულ ასამბლეას და თავისი ბინძური ჟურნალ-გაზეთების თითქმის ყოველ ფურცელზე ლაფს ასხამს და ქოქოლას აყრის პატიოსან მოქალაქეებს.

ეს ის ხალხია, ვინც საფრანგეთის ჭირად და ვაებად, ჯერ კიდევ არ წასულა საზღვარგარეთ. აი, ამათ მიჰქონდათ ენები და სამეფო ტახტს ესენი უფენდნენ ფერხთით ათასგვარ ჭორებს ამ პიესის საწინააღმდეგოდ, რომელიც იმდენადვე ზნეობრივია, რამდენადაც თვალში საცემი და ენერგიული. ო, ლუი მეთექვსმეტევ, ჩვენო კეთილო და სამართლიანო მეფევ, თქვენ ღირსი ხართ იმისი, რომ წინ უძღოდეთ ფრანგებს, მაგრამ ბოროტებას სწადია, რომ გადაულახავი კედელი აღმართოს თქვენსა და თქვენს ხალხს შორის. ისინი ცდილობენ, დაგარწმუნონ, რომ თქვენს ხალხს თქვენ არ უყვარხართ. მობრძანდით ეროვნულ თეატრში, როდესაც აქ „შარლ მეცხრეს“ წარმოადგენენ და თქვენ თქვენი ყურით გაიგონებთ, თუ რას ამბობენ ფრანგები, საკუთარი თვალით დაინახავთ ყელში მოწოლილი სინაზის ცრემლებს, თავად აღივსებით იმ ენთუზიაზმით, რაიც თქვენივე სათნოებით არის გამოწვეული და პატრიოტი ავტორიც საუკეთესო ნაყოფს მოისთვლის მაშინ თავისი შრომისას.

ქალებო, კდემამოსილი და მგრძნობიარე სქესის წარმომადგენელნო, ვინც იმ სქესის დამამშვიდებლად ხართ მოვლენილი ამ ქვეყანაზე, თქვენსავე სასოებად და საყრდენად რომ გვეგულებათ — ნუ შეგაშინებთ ეს მტრული და ტრაგიკული სურათი პოლიტიკურ ვნებათა ღელვისა. დიდია, ძალიან დიდია თეატრის ზემოქმედების ძალა საზოგადო ზნეობაზე. აქამდე იგი პირფერობის, სიყალბისა და ლაზღანდარობის სკოლა იყო, ამიერიდან კი ზნეობისა და თავისუფლების სკოლად უნდა გადაიქცეს. მამაკაცები აქ უკვე აღარ ისწავლიან ქალაჩუნობასა და უნიათობას, ისინი უფრო უკეთესები გახდებიან, უფრო ღირსნი გახდებიან თქვენი სიყვარულისა, ისინი ისევ მამაკაცები გახდებიან. მოქალაქეთა ზნეობა, მაგალითად, აღარ დაისახავს სამეფო კარის გაუკუღმართებულ ცხოვრების წესს. ვეღარავინ იხილავს საფრანგეთში უწმინდურსა და უვნებო მამაკაცებსა და ქალებს, სქესთა ნებისაებრ ატრუვებულთ და მიწყივ ერთიმეორის პატივის ამყრელთ.

ოჯახის მამებო, მიეცით ნება თქვენს შვილებს, დაესწრონ ამ მკაცრ წარმოდგენებს. კანონისა და ზნეობის პატივისცემასთან ერთად, ისინი აქ ჩვენს ისტორიასაც გაუფცქვნიან გემოს, ასე უცნაურად უგულვებელყოფილი რომ არის კოლეჯებში. ბავშვებო, მომავალო ერო, იმედო და სასოებავ ჩვენი სამშობლოსი და იმ საუკუნისა, რომელიც ჯერ არ დამდგარა — ძველი ცრურწმენები და ძველი მონობა თქვენზე უკვე ვეღარ იქონიებენ ზეგავლენას, თქვენ იქნებით ახალი, თავისუფალი ქვეყნის წარმომადგენლები. უწინარეს ყოვლისა, სწორედ თქვენ გეხებათ ყველაფერი, რასაც მე ვწერ. მე ვიცი, რომ ფილოსოფოსი, პოეტი, მწერალი მხოლოდ მაშინ ელოდება ყოვლისმომცველ სამართლიანობას, როდესაც უკვე აღარ ძალუძს, ისარგებლოს ამით და რომ ეს სამართლიანობა მისთვის მიწყივ საფლავის მტვერში იმარხება, მაგრამ ისინი, ვინც ახლა იწყებს ცხოვრებას, ნაკლებად ეჭვიანობენ ხოლმე იმათზე, ვინც ამ ვადას აახლოებს. ოცდაათიან წლებში თუ ცოცხალი ვიქენი, იმ რიარიაში, რაიც სიყრმიდანვე ჩემი თანამდევია, თქვენი მხარდაჭერა უეჭველად დიდ სალბუნად დაედება ჩემს — ეროვნული პოეტის — სიბერეს.

ერო გონიერო, აღმაშენებელო და დიდსულოვანო, თქვენ უკვე ინებეთ კეთილი და კეთილი გულით შეიწირეთ პირველი გამოვლინებანი იმ მცირედი ნიჭიერებისა, რომელიც მთლიანად თქვენ გეძღვნებათ და ისევ და ისევ თქვენ მოგეძღვნებათ მუდამ. ამომიდექით მხარში იმ მძიმე საქმეში, რომელსაც მე ვარ შეჭიდებული. ამიერიდან ჩემი შეურიგებელი მტერია ყველა, ვინც ცრურწმენებს უმადლის თავის არსებობას ამ ქვეყანაზე, ვისაც მონობაზე სწყდება გული. ჩემი მეგობარია ის, ვინც სამშობლოს აღმერთებს, ვინც მართლა ფრანგია. თქვენ უდიდეს მაგალითს აძლევთ დღეს მთელს მსოფლიოს. ნაშთი ფეოდალიზმის ძველი დიდებისა სულ მალე ყველას დასანახად ჩამოცხავდება თქვენს ფერხთით იმ წმინდა ასამბლეის მეცადინეობით, რომელიც თქვენ წარმოგადგენთ. თქვენი აღმაფრთოვანებელი კონსტიტუცია თანასწორობას ემყარება. უკვალოდ გაქრება სულ მალე წოდებები, ეს ანტისოციალური ნიშნები რჩეულობისა, ეს ყოვლად უაზრო განსხვავებანი ადამიანსა და ადამიანს, მიწასა და მიწას შორის. ტირანიამ და მონობამ თუ კიდევ გაზედა თავის წამოყოფა, თქვენი თეატრი შეებრძოლება მას ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის სახელით და ამაში იგი ტოლს არ დაუდებს ათენის თეატრს. თქვენი თეატრი თქვენ გეკუთვნით, ერს, და თქვენვე უნდა იყოთ ამიტომ უპირველესი გულშემატკივარნი თქვენივე პოეტი-მოქალაქეებისა, რომელნიც ასპარეზზე იმიტომ გამოდიან, რომ ძირს დასცენ მტერნი ჩვენი ერისანი.

თარგმანი **მამუკა გრიგოლიასი**



# გოგონა, რომელიც ცეკვავს და ოცნებობს

ეს ლამაზთვალება, ცქრიალა გოგონა რუსუდან ციცხვაიაა — თბილისის 181-ე საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე. თუმცა ფოტო ვერ გადმოსცემს და სრულად ვერ შეგაგრძნობინებთ იმ ცეცხლს, ეს თითისტოლა და ჯარასავით დაუდევარი გოგონა რომ აბრიალებს სცენაზე.

დიახ, რუსუდანი სცენის ნორჩი დიდოსტატია, ცეკვავს ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ლაშარში" და ამ რჩეულ პატარებშიც გამოირჩევა თავისი მშვენიერი გარეგნობით.

ვიდრე რუსუდანს გავესაუბრებოდი, ცოტა არ იყოს ვშიშობდი კიდეც — პატარაა, როგორ უნდა „გავხსნა" მისი ხასიათი, თან არ მინდოდა, უფრო სწორად, არ მიყვარს, როცა ბავშვის მაგიერ მშობელი ლაპარაკობს ხოლმე. ჩემი ეჭვები საერთოდ გააქარწყლა ამ ცამეტი წლის გოგონამ, რომელიც თურმე ჟურნალისტობაზე ოცნებობს...

თუ როგორი ჟურნალისტი დადგება რუსუდანიხაგან, ამას დრო გვიჩვენებს. მანამდე კი, ვიდრე მისი ოცნება ფრთებს შეისხამს, იგი ცეკვავს. თუმცა ეს ერთი სიტყვა ზუსტად ვერ გადმოსცემს იმას, რასაც ეს პატარა გოგონა აკეთებს სცენაზე — იგი დაფრინავს, დანარნარებს, ეშხში შესული დაუღალავად ბზრიალებს და იწვის სცენაზე, ბოლომდე იხარჯება და მაყურებელსაც იმას განაცდევინებს, რა გრძნობებსაც ბადებს მასში უზადო, შეუდარებელი ქართული ცეკვა.

ამ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულმა ბავშვმა რაღა მაინცდამაინც ქართული ცეკვები ამოირჩია? მას ხომ შესაძლოა უკეთესი წარმატებები ჰქონოდა სიმღერაში, მხატვრულ კითხვაში, ან თუნდაც ნორჩ მსახიობთა თეატრში. მაგრამ, თურმე, პატარების არჩევანიც ამართლებს და ისინი თავიანთ ამორჩეულ გზაზე უფრო მტკიცედ დადიან, ვიდრე მშობლების გაკვალულზე.

— როცა ქართულ ცეკვებს ვუყურებდი ტელევიზიით, ან კონცერტებს ვესწრებოდი ხოლმე ამა თუ იმ ქორეოგრაფიული ანსამბლების შესრულებით, ხშირად ჟრუანტელი დამივლიდა ტანში. საოცრად მომწონდა და მსიამოვნებდა მისი ცქერა. მერე ჩემი ძმაც ცეკვავდა და კიდევ უფრო დავუახლოვდი ქართულ ცეკვებს. ბოლოს, როცა ვიგრძენი, რომ მეც ცეკვა მინდოდა, ცეკვა მწყუროდა და რაღაც შინაგანი ნდომა არ მასვენებდა, მაშინდელ პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს მივაკითხე...

... ქორეოგრაფიულ სტუდიაში რუსუდანის პირველი მასწავლებელი ლამარა ურთმელიძე გახლდათ. სწორედ მას უმადლის გოგონა ცეკვის ანა-ბანას შესწავლას. ცოტა ხანში ანსამბლ „ლაშარის" ხელმძღვანელის, ტარიელ გოგობერიშვილის აღსაზრდელების გამოსვლები ნახა. აღფრთოვანდა.

რუსუდანი მივიდა ტარიელ მასწავლებელთან, მივიდა ადამიანთან, ვინც ცეკვის მთელი ხიბლი შეაგრძნობინა. დღეს ტარიელ მასწავლებელი და მისი აღსაზრდელები, მათ შორის რუსუდანიც მხოლოდ ანსამბლით სულდგმულობენ, თვით „ლაშარი" კი შეუდარებელია. ესაა ერთადერთი კოლექტივი „სუხიშვილების" შემდეგ, რომელსაც ორგანყოფილებიანი ქორეოგრაფიული კონცერტი აქვს. ამ კონცერტების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და გამშვენიერებელი კი თვალებცქრიალა, პატარა გოგონა — რუსუდან ციცხვაია, თურქეთში ჩატარებული მსოფლიო ფოლკლორული ფესტივალის ლაურეატი ანსამბლ „ლაშართან" ერთად.

რუსუდანს არასოდეს ეშინია სცენაზე გასვლისა, აქ იგი ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. მისი საყვარელი ცეკვა „ფარიკაობაა", თუმცა პირველი სოლო „აჭარულში" შეასრულა. უფრო მეტად სწორედ „აჭარულის" ტანთსამოსი მოსწონს. ისე კი, როცა სცენაზე მისი გამოსვლის დრო მოდის, შიშიც ავიწყდება, ისიც, თუ რომელი ტანსაცმელი ურჩევნია და ისიც, რომ მის გარშემო უამრავი ხალხია.

კულისებში კი... კულისებში რა გამოლევს კურიოზებს. „ჯეირანს" რომ ამთავრებს, ორიოდე ცეკვის შემდეგ „მხედრულში" გამოდის და სამოსის გამოცვლას რომ ვერ ასწრებს, ეს ხშირად აგდებს უხერხულ მდგომარეობაში. ამავე კულისებმა შემოინახეს პირველად სცენაზე გასვლამდელი განცდები და პატარა, ჩიტისოდენა გულის შეკრთომა. მერე კი, მერე სცენაზე რომ გავიდა, ყველაფერი თავისით ჩადგა კალაპოტში.

თურქეთში ფესტივალზე გამარჯვების შემდეგ, რუსუდანი პოპულარული გახდა სკოლაში, მისი თაყვანისმცემლები უფრო გათამამდნენ და ხშირად მიართმევდნენ ხოლმე სცენაზე გოგონას ლამაზ ყვავილებს, თანაკლასელები სთხოვდნენ მას რეკომენდაცია გაეწია ტარიელ მასწავლებელთან, მაგრამ „ლაშარში" აღსაზრდელთა მიღება უკვე საკმაოდ დაგვიანებულია.

რუსუდანს ორი მეწყვილე ჰყავს, ორივეს სამეფო სახელები ჰქვიათ — ლაშა და გიორგი. და ჩემს კითხვაზე, რომელ მათგანთან უკეთესია ცეკვა, ბავშვური უშუალობით მიპასუხა:

— ვერც ერთს ვერ გამოვყოფ, რადგან ორივეს აქვს ის რაინდული თვისება, რაც ასე ახასიათებს ქართველ კაცს და ასე გამოიკვეთება ქართულ ცეკვებში.

... დღეს რატომღაც ისე ხდება, ქართულ ტრადიციებს თ ი თ ქ ო ს ვწყდებით, ვივიწყებთ ყველაფერს, რამაც აქამდე მოგვიყვანა, რამაც გვასაზრდოვა და გამოკვება ჩვენი სულიერი საუნჯე. რუსუდანისნაირები კი ჯერ კიდევ მჭიდროდ ეჭიდებიან წარსულთან დამაკავშირებელ უფაქიზეს ძაფს — ქართულ ხელოვნებას... ჰო, მართლა, დამავიწყდა მეთქვა, რუსუდანის ოცნებაა ამერიკაში, ცივილიზაციის ამ უდიდეს მექაში, იცეკვოს ქართული. ეს კი ცოტას როდი ნიშნავს — ეს იმ ფესვების დაფასებაა, რომელმაც ასეთი ნიჭიერი თაობა ამოხეთქა თავისი წიაღიდან.

**ინგა ჩახჭაშვილი**

საქართველოს
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაპოლეონი — სატრფო და ნაპოლეონის სატრფო

1769 წლის 14 აგვისტოს ერთმა უცნაურმა გარემოებამ მიიქცია პრუსიის მეფის ასტროლოგის ყურადღება — რომელიღაც კაშკაშა ვარსკვლავმა მისი მეფის ბედის ვარსკვლავის ბრწყინვალება გადაჰფარა. აბა, რას მოასწავებს, როგორ ახსნი ამასო? — ჰკითხა მეფემ. — ორიდან ერთიაო — მიუგო ასტროლოგმა — ან ძალიან დიდი მხედართმთავარი დაიბადება სადმე ამ დედამიწის ზურგზე, ან პრუსიას რომელიღაც ჯერაც უხილავი ძალა დაიმორჩილებსო. გაწყრა მეფე, ჯოხი დასცხო გამწარებულმა მაგიდას და გავიდა ოთახიდან.

1769 წლის 15 აგვისტოს ნაპოლეონ ბონაპარტი დაიბადა.

მომავალმა იმპერატორმა ამ ამბისა, ცხადია, არაფერი უწყოდა. ცრუმორწმუნე გახლდათ ყმაწვილობიდანვე, თილისმებისა და ჯადოების სჯეროდა, ნაირ-ნაირი თილისმებიც მოეპოვებოდა, მაგრამ ყველაზე უფრო მაინც თავის ბედის ვარსკვლავს ენდობოდა. რაც არ უნდა ჩავიდინო, ყველაფერი მაინც ჩემ სასარგებლოდ შემოტრიალდება, ვიდრე ჩემი ბედის ვარსკვლავი მე მიღიმისო — ამბობდა; აი, როცა აღარ გამიღიმებს, ერთი სულის შებერვაც კი საკმარისი იქნება, რომ წავიქცეო.

ულიმოდა ბედის ვარსკვლავი...

დეზირე, ანუ, ქართულად, „ნატრული“ („გინატრე — არის ასეთი საკუთარი სახელი ქართულშიც) ერქვა ქალს, რომელიც ფრანგების იმპერატორს სიყრმიდან ეტრფოდა. „ენა ვერ იტყვის იმას, რასაც მე განვიცდი, მთელი ჩემი ცხოვრება შენ გეკუთვნისო“, — წერდა იგი ახალგაზრდა ნაპოლეონს.

ჟოზეფინა, ვისაც სულ მალე მომავალი იმპერატორის სახელი და დიდება უნდა გაეზიარებინა, იმხანად უკვე კარგა ხნის გათხოვილი გახლდათ. ერთ თავქარიან არისტოკრატს, ალექსანდრე ბოგარნეს ჰყავდა ცოლად.

მარჩიელმა საფრანგეთის გვირგვინი უწინასწარმეტყველა ერთხელ ჟოზეფინას. მწარედ გაეცინა ამაზე ყმაწვილ ქალს. თექვსმეტი წლისაც არ იყო ჯერ, აი, იმ ბოგარნეს რომ გაჰყვა ცოლად და — საფრანგეთის დედოფლობა კი არა, ნეტა იმისი ბედნიერი მქნა, ქმარი შემიყვარებდესო, — გაიფიქრა.

ჩვენი ახალგაზრდა ოფიცრის მუნდირს კი იმხანად, ხშირ-ხშირი წმენდისა და უთოობისაგან სულ ერთთავად პრიალი გაუდიოდა, ფუჭი დროსტარებისა და უგულო სიყვარულობისათვის ნამდვილად არა სცხელოდა ამ მუნდირის პატრონს, არც დრო ჰქონდა საამისო და არც ფული, არც კორსიკული, ტრადიციული მორალი და ადათ-წესები განაწყობდნენ საფუქსავატოდ. ამ მორალისა და ადათ-წესების თანახმად, კაცი და ქალი იმიტომ უახლოვდებიან ერთიმეორეს, როცა უახლოვდებიან, რომ ოჯახი შექმნან და შვილები იყოლიონ. სხვა ყველაფერი ცოდვით განცხრომაში ჩამოერთმევა ერთსაც და მეორესაც. ერთხელ ჰკითხეს კიდეც — როგორ ქალს ანიჭებთ უპირატესობასო? — იმას, ვინც უფრო მეტ შვილებს გაუჩენს თავის ქმარსო, — ასე უპასუხა.

ამხანაგები სამხრეთული კილოს გამო დასცინოდნენ, მისი უმთავრესი მიზანი და ამოცანა იყო, არავითარ შემთხვევაში არ დაეთმო პირველობა ამ ამხანაგებისათვის. წერილიც გამოაქვეყნა იმხანად ერთი ერთ-ერთ პარიზულ ჟურნალში მოქალაქეობრივი მოვალეობისა და სამშობლოს სიყვარულის შესახებ. ნაპოლეონ ბონაპარტი — პირველად გაისმა მაშინ ეს სახელი და გვარი, არავინ უწყოდა, ვინ იყო ეს ნაპოლეონ ბონაპარტი.

ოცდამეხუთე წელიწადში იყო უკვე გადამდგარი და, ცხადია, დაოჯახებაზეც ფიქრობდა. სულ უფრო და უფრო თბილად პასუხობდა ამიტომ დეზირეს უწმინდესი და უსათუთესი სიყვარულით გამთბარ ბარათებს. დეზირე გახლდათ სწორედ ის ქალი, ვინც ყველაზე მეტ შვილს გაუჩენდა და ვინც ყველაზე უფრო მეტად წაავგავდა დედამისს, ლეტიციას, სახლისა და შვილების მეტი რომ არაფერი ახსოვდა ამ ქვეყანაზე.

აი, ამ დროს გაიხსნა ცა და ნაპოლეონს ჟოზეფინა გამოეცხადა.

ბოგარნე თანდათანობით სულ გავიდა თავს, აღარცერთ ლამაზ ქალს აღარ ტოვებდა უკვე უყურადღებოდ და გამოლმა ეძახებოდა საწყალ ჟოზეფინას, აქეთ სდებდა ბრალს ღალატში. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბოგარნემ შვილებიც კი უარყო ბოლოს — ჰორტენზია და ევგენია — ჩემები არ არიანო. გაიყარა ცოლქმარი.

მერე ის იყო, რევოლუციამ არისტოკრატ ბოგარნეს ციხეში ამოაყოფინა თავი. ჟოზეფინამ ყველაფერი იღონა ქმრის გადასარჩენად, ბოლომდე უერთგულა, მაგრამ ვერაფერს გახდა. გენერალმა ბოგარნემ გილიოტინაზე დაამთავრა თავისი სიცოცხლე.

ჟოზეფინას ფიქრისა და განსჯის დრო დაუდგა. ერთიმეორეს შეუდარა თავისი და თავისი ქმრის ცხოვრება და — ალექსანდრე მართალი იყოო — დაასკვნა. აბა, რა მისცა მას ამდენი ხნის მოწამეობრივმა ცხოვრებამ და ქმრისადმი უსაზღვრო ერთგულებამ? არაფერი. ბოგარნეს კი ვინ იცის, რამდენი რამ გაახსენდებოდა გილიოტინაზე სიკვდილის წინ, ვინ იცის, რამდენი ტკბილად მოსაგონარი წამი დაუდგებოდა თვალწინ? ამიერიდან ჟოზეფინამ უკვე იცოდა, როგორ უნდა ეცხოვრა.

გენერალ ბოგარნეს უფულო და უსახსრო ქვრივი, ორი შვილის დედა, ამ ორი შვილის მეტი რომ არა ებადა რა ამ ქვეყანაზე; აი, ასეთი ჟოზეფინა გახდა „„გადარჩენილთა მეჯლისის“ დედოფალი. „გადარჩენილთა მეჯლისს“ თავიანთ ყოფას არქმევდნენ ის ფრანგები, ვინც იაკობინელთა ტერორს გადაურჩა. ეს უცნაური, ყოვლად ფანტასტიკური მეჯლისი სასაფლაოების ფონზე მიმდინარეობდა, სანთლებისა და ჩირაღდნების შუქზე, საფლავის ქვებზე თავმოკვეთილი სხეულები როკავდნენ.

ფრანგები ამტკიცებენ, რომ არსებობს ასეთი მეცნიერებაც — იყო ნამდვილი ქალი. ჟოზეფინა სრულყოფილად ფლობდა უკვე ამ მეცნიერებას. არადა, სულაც არ იყო ლამაზი, კაცმა რომ თქვას,

აი, ამ მეჯლისზე შეხვდა ერთ საღამოს ნაპოლეონი ჟოზეფინას.

აღარც კი ახსოვდა უკვე, ოდესმე თუ უთქვამს ასეთი სისულელე — „კდემამოსილება ქალისათვის ისევე აუცილებელია, როგორც მამაკაცისათვის სიმამაცეო“, „მე ერთნაირად მძულს ლაჩარი კაცებიცა და უსირცხვილო დედაკაცებიცო“... ჟოზეფინა ისეთ გულამოღებულ კაბებს ატარებდა, ენაკვიმატი ფრანგები ამბობდნენ — შემოქმედს დაუყენებს თვალსო, აბა, რა გასაკვირი იყო, რომ ვერც ნაპოლეონს დაენახა ვერაფერი საძრახისი ყოველივე ამაში.

სულ უფრო და უფრო იშვიათად და სულ უფრო და უფრო მოკლე ბარათებს ღებულობდა მისგან თავისი წერილების საპასუხოდ დეზირე...

დეზირე და ნაპოლეონი 1795 წლის გაზაფხულზე დაინიშნენ, 1796 წლის 8 მარტს კი ნაპოლეონმა ჟოზეფინა შეირთო ცოლად.

სულ რაღაც ორიოდე დღე დაჰყვეს ერთად ნაპოლეონმა და ჟოზეფინამ, მესამე დღეს კი მთავარსარდალი იტალიაში გაემგზავრა სალაშქროდ.

თილისმები, ჯადოები, ბედის ვარსკვლავი, უფრორე კი საკუთარი, ჭეშმარიტად, რომ ფენომენური წინათგრძნობა, მართლა ძალიან დიდ სამსახურს უწევდა მთავარსარდალს, მის გამარჯვებებს ბოლო არ უჩანდა და მისი დიდება უკვე მართლა იგავმიუწვდომელი გახლდათ. ერთ-ერთი ლაშქრობიდან დაბრუნებულს ქალაქის შესასვლელში ოცი ულამაზესი ქალიშვილი დაახვედრეს, ლამაზ-ლამაზი თაიგულები ეკავათ ხელში და ოც გულს გამოსახავდნენ. კალამბური გახლდათ ეს: გამარჯვებული ფრანგულად „ვენკერ“ არის, „ვენ კერ“ კი ცალ-ცალკე — ოც გულს ნიშნავს. გასცინებია იმპერატორს — კაცმა არ იცის, რომელი სჯობია, გამარჯვებული იყო კაცი, თუ დამარცხებულიო. კალამბური გახლავთ ესეც: „ვენკიუ“ დამარცხებულს ნიშნავს ფრანგულად, „ვენ კიუ“ კი ცალ-ცალკე — ოცი უკანალი გამოდის.

ხუმრობა მეფეებს რომ უხდებათ, ისე აბა, ვის უხდება, მაგრამ სინამდვილეში სულაც არ არის ხოლმე, მოგეხსენებათ, მთლად ასე სახუმროდ საქმე.

აი, ეს გამარჯვებული და თავისი დიდების მწვერვალზე მყოფი ნაპოლეონი წერილს წერილზე უგზავნის ჟოზეფინას, ემუდარება, ჩამოდი, შემომიერთდი, მხარი დამიმშვენე და გული გამიხარეო. ჟოზეფინა კი დუმს და არაფერს პასუხობს. ეშინია კიდეც ცოტა არ იყოს ამ კორსიკული მოზვერისა, ერიდება მასთან სიახლოვეს, ბოლოს ფეხმძიმობასაც კი მოიგონებს — იტალიაში წამოსვლა ამის გამო ვერ შევიძელი და არც ახლა შემიძლიაო.

ნაპოლეონს, რა თქმა უნდა, გული უჩუყდება მაშინვე და თავის თავს ადანაშაულებს თავისი ამ ენით უთქმელი უხეშობის გამო — მე ისეთი ტკივილი მოგაყენე, რომ არ ვიცი, ოდესმე თუ შევძლებ, გამოვისყიდო რითიმე ჩემი საქციელიო, — წერს ჟოზეფინას, — შენ უქეიფოდა ხარ, შენ მე გიყვარვარ, ბედნიერი ხარ ამ სიყვარულით, მე კი აქედან საყვედურს საყვედურზე გითვლიდიო. ო, ჩემო ძვირფასო მეგობარო, უმოწყალესად გთხოვ; მაპატიო; უშენოდ მე აბა, რას წარმოვადგენ, შენა ხარ ჩემი ცხოვრების ერთადერთი მიზანი და შინაარსიო. ჩემს სახელ-დიდებას რაში ვაქნევ, შენ თუ არ მეყოლე ყოველივე ამის შემფასებლად და დამფასებლადო. ყველა გამარჯვებაც მხოლოდ იმისთვის მინდა, შენ რომ გაგახაროო. დედამიწა იმით არის კარგი, შენ რომ დაიარები ამ დედამიწაზეო და სხვა და სხვა და სხვა.

„ორი გულიდან ერთი ყოველთვის ცივია, მეორე თბილი, ცივი გული ალმასზე უფრო ძვირფასია, თბილს ფასი არა აქვს“, — სევდიანი ღიმილით უღიმის დეზირე თავის პირველ სიყვარულს...

ბედის ვარსკვლავი უღიმის იმპერატორს, თავად იმპერატორი კი ჟოზეფინას უღიმის...

ერთიმეორეზე უკეთესი იტალიელი ქალები ერთმანეთს ეცილებიან გმირთაგმირის განსასვენებელში მოხვედრას, ის კი კარებიდანვე აბრუნებს ყველას უკან. გაოცებულია მთელი არმია მოღალატე ცოლისადმი მისი ამ სასაცილო ერთგულებით.

ფეხმძიმობასაც, მოგეხსენებათ, თავისი ვადა აქვს, ტყუილს კი მოკლე ფეხები. ჟოზეფინა ბოლოსდაბოლოს იძულებულია, გაემგზავროს ნაპოლეონთან, იპოლიტ შარლი, ერთი ლამაზი, ახალგაზრდა ოფიცერი აღმოჩნდება მის გამცილებელთა შორის. ზიზღსა ჰგვრის ჟოზეფინას იტალიური პეიზაჟები და თანამეცხედრესთან შეხვედრამდე აი, ამ იპოლიტ შარლთან ალერსით იქცევს თავს, სხვა აბა, რა გზა აქვს და სახიდებელი?!

„შენ რომ ვინმე სხვა შეიყვარო, ვინც არ უნდა იყოს, ერთ წამში მოვკლავ ყველას ბოლოს და მერე შენც... თუმცა, არა, ამას ვერ ვიზამ, უმალ მე განვშორდები ამ ქვეყანას, სადაც ჩემი სათაყვანებელი და უწმინდესი არსებისაგან ვიქნები მოტყუებულიო“, — წერდა ნაპოლეონი ჟოზეფინას, მაგრამ ამ მუქარას ვერ ასრულებდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ საქვეყნოდ გახმაურებული იყო უკვე ჟოზეფინას კაი ქალობა, ჭორი და ცილისწამება ეგონა, ან უნდოდა, რომ ასე ეფიქრა.

ეგვიპტის ქვიშრობებში დაუნამდვილა დაბეჯითებით ბოლოს ეს ამბავი გენერალმა ჟიუნომ...

ნაპოლეონმა წააგო ის ომი...

1809 წელს გაეყარა ნაპოლეონი ჟოზეფინას ისე, რომ დაპირებული მემკვიდრის დაბადებას არ დალოდებია...

დეზირე კლარს, რა თქმა უნდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ახსოვდა თავისი პირველი სიყვარული, მაგრამ მასაც თავისი ბედის ვარსკვლავი უღიმოდა — შვეციის დედოფალი გახდა და დასაბამი დაუდო იმ დინასტიას, რომელიც დღემდე მეფობს ამ ქვეყანაში. ნაპოლეონმა მოუნათლა ვაჟი.

ვატერლოოს მერე, თავის გარემოცვასთან ერთად რომ ბჭობდა, ამერიკაში გაქცეულიყო, თუ ინგლისელებს ჩაჰბარებოდა, ოთახში ჩიტი შემოფრენილა ერთი. — კარგი ნიშანიაო, — გაჰხარებია რომელიღაც გენერალს. — გაუშვით, ვნახოთ ერთი, საით გაფრინდებაო, — უთქვამს ნაპოლეონს. ჩიტი ინგლისისაკენ გაფრენილა. აი, იმ დღეს იყო, სწორედ, თავისი ხალხი რომ გააგზავნა მოსალაპარაკებლად იმ გემზე, რომელსაც იგი წმინდა ელენეს კუნძულზე უნდა წაეყვანა.

ბედის ვარსკვლავი აღარ უღიმოდა უკვე იმპერატორს, ერთი სულის შებერვა იყო საკმარისი, რომ წაქცეულიყო.

მასალა მოიძია და შემოგვთავაზა
ნინო ლორთქიფანიძემ,



# პკვნის რწევაში დაწერილი სტრიქონები

ქართულ საბავშვო ლიტერატურაში თავიდანვე გამორჩეული ადგილი ერგო რამდენიმე მწერალ ქალს. ძველი ჟურნალ-გაზეთები, სახელმძღვანელოები, ცალკე გამოცემული წიგნები, სათუთად ინახავენ მათ სახელებს.

მარტო ერთი უბრალო გადახედვაც კმარა გუშინდელ დღეში, თანაც ცოტა მგრძნობიარე კაცის გულია საჭირო, რომ ისევ ისე ცოცხლებივით დაგვიდგნენ თვალწინ ძვირფასი ადამიანები, ლეჩაქ-მანდილით თავმორთული მანდილოსნები, რომელთაც ერთ ხელში კალამი უჭირავთ, ხოლო მეორე ხელი აკვნისკენ გაუწვდიათ.

თუ კარგად მივუგდებთ ყურს, აკვნის ჭრიალსაც გავიგონებთ. მშობლიური ახლობელი ხმაც მოვა ჩვენამდე. ნაცნობი სტრიქონი მოგვხვდება გულზე.

აკვნის რწევასა და „იავნანის" ღუღუნში, სიტკბოში და სიმწარეში, იწერება დაფრთიანებული საბავშვო ნაწარმოებები. წერენ სახეზე ნათელგადავლილი პოეტი ქალები, უპირველეს ყოვლისა, დედები! წერენ უბრალოდ, ადამიანურად. თავჩაზრით წერენ და თავიანთი კალთათბილი, დედური ნამოღვაწარით გვაყვარებენ თავს.

ასე გვგონია, საცაა, პატარა სახლის აივანზე ძველებურად შემოფრთხიალდება კუდმაკრატელა შავფრთიანი ჩიტი... მაგრამ არა! თვალდახელშუა გაფრენილა „ქეთოს მერცხალი".

დედის გულის თარგზეა აჭრილი ეს ლექსი. აკვნის მარწევალია, სანთელივით სათნო და სუფთა, ამის დამწერი. დედობის არმცოდნე ქალი ვერ დაწერდა ამ სტრიქონებს.

ლიდია მეგრელიძის „ქეთოს მერცხალი" ისევე, როგორც დუტუ მეგრელის მარგალიტი „მე პატარა ქართველი ვარ", აქ დარჩა, ჩვენთან.

პატარა ქართველ ბიჭს, სხვაგან განცხრომით ყოფნას, თავის მიწაწყალზე სიკვდილი ურჩევნია. პატარა ქართველი გოგონა ფრთებს ნატრობს იმიტომ, რომ ლაღად იფრინოს თავის ჩიტუნიასთან ერთად. მერცხალთან ერთად უნდა ფრენა თავის მთებში, მთების ზემოთ, მშობლიური ცის ქვეშ. „ქეთოს მერცხალი" ცის სილურჯითაა შეფერილი. ლილისფრადაა შეღებილი ცა და ამ ცაზე დასრიალებს მისი მერცხალი.

„პატარა ქართველი", რასაკვირველია, უფრო დიდია, უფრო მეტის მთქმელია, უფრო მიწიერია, მიწასთანაა შეზრდილი, შეხორცებული. ერთი ლექსი მშობლიური ცის მაქებარია, მეორე მშობლიური მიწისა. ერთიცა და მეორეც სათაყვანო სამშობლოს სიყვარულითაა გამთბარი, მისი ცისა და მიწის სინოყივრითა და ელვარებითაა გაცისკროვნებული.

აი, ასეთი ნაწარმოებები, თითქოს მსუბუქი და იოლად დასაწერი, აი, ასეთი ლექსები მიუძღვებიან წალმართიან გზაზე ახალგაზრდებს. ასეთი ლაღი, პატიოსანი, უტყუარი, მართალი სტრიქონები ასუფთავებენ სულს. ლიდია მეგრელიძეს, ბავშვებისათვის სხვა რომ არაფერი დაეწერა, მარტო ეს ლექსი აცოცხლებდა.

პოეტი ქალი მართლაც შესანიშნავად იცნობს ბავშვის ბუნებას. უეჭველია, უტყუარი დედური გრძნობა ეხმარება მას თემების მიგნებაში, მაგრამ თემა თემაა. კარგ სალექსო თემას კარგი დაწერა უნდა.

ამ მხრივაც გამოირჩევა მისი საბავშვო ლექსები. სიტყვა, ხმა, შედარება, ლექსის ეს აუცილებელი სამკაულები, ერთმანეთთან შეწყმით, სასურველ სურათს ჰქმნიან.



## აკაკი წერეთელი

### ნაკადული

სწავლა წყარო არს ცხოვრების,
სიბრძნე მისი ნაკადული,
და ნაყოფი მათი ერთად —
შვება, ლხენა, სიხარული.

დედის რძესთან ვინც შეწოვა
მისი ქვეყნის სიყვარული,
მას გაუწმენდს სულსა და გულს
ეროვნული ნაკადული.

მაგრამ შრატსა დედინაცვლის
ვინც კი დააჯერა გული,
იმას უწევს ნაღველ-შხამად
ცხრა მთას იქით ნაკადული.

და შენც, ყრმაო, თუ გსურს გახდე
შენი ქვეყნის მე ერთგული,
შესვი წყარო ეროვნების!..
გწამდეს მისი ნაკადული!..

გახსოვდეს, რომ სწავლა არის
წყარო!.. სიბრძნე — ნაკადული!..
და ნაყოფი მათი ტკბილი —
შვება, ლხენა, სიხარული.

## სულხან-საბა ორბელიანი

### ძალა ერთობისა

მეფე ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყავდა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოჰზიდა, რათა გატეხონ და ვერ გატეხეს. მერმე თითო-თითო მოჰზიდა და ყოველივე დალეწა. უთხრა შვილთა თვისთა: — თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგეხართ, მტერი ეგრე ვერ განგტეხსთ, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გატეხეთ; თუ გაიყრებით, ეხრეთ თითო-თითოდ დაგლეწონსთ მტერმან, თავეცა მოხთხართ და მოყვარეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წაუკითხეთ პატარებს

გავიხსენოთ, თუნდაც „ზამთარი სოფელში".

ზამთარია, თოვს,
თეთრ ფანტელებს ჰყრის.
ზუ-ზუ, ზუ-ზუ, ზუ,
უჰ, რა ქარი ქრის.
შაშვი სუროს კენკს,
სცივა საწყალ ჩხიკვს.
მოუფუფუყავს ფრთა
ყელწითელა ჩიტს.
მამაჩემი „ჩაზ",
შეშას მარდად სჭრის.
ზუ-ზუ, ზუ-ზუ, ზუ,
უჰ, რა ქარი ქრის.

ეს ლექსი ნახევარი საუკუნის წინათაა დაწერილი. მაგრამ, განა, მოძველდა რაიმეთი? სალექსო ფორმაა უხეირო თუ განწყობილება?! ანდა, იქნებ, ზამთრის პეიზაჟიაურიგოდ დახატული?!

დასავიწყებელი არაა პოეტი, ვინც ეს სტრიქონები დაწერა:

დედის თვალო, დედის ნატვრავ,
ვარდფოთოლო, თვალმანანა,
მზე შენს ტუჩზე ცისკარს ხატავს,
ნანა, შვილო, ნანა, ნანა...

მარგალიტის მძივი ვთესე,
შენთვის ვქარგე ოქროს ყანა,
გული გამიუკეთესე,
ნანა, შვილო, ნანა, ნანა...

მალე შენი ჯერიც მოვა...
ყური მიგდე, გეტყვი მართალს:
შენი ტურფა სამშობლოა
საქართველოს უბე-კალთა.

მარგალიტებივითაა გაბნეული ათეულობით წლების წინათ დაწერილი საუკეთესო საბავშვო ლექსები ძველ გამოცემებში. ისინი ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევიან. არადა, დავიწყების ღირსი არ არიან მათი ავტორები. იქნებ, ღირდეს ამაზე ფიქრიც. იქნებ ცალკე კრებულადაც გამოგვეცა ისეთი საბავშვო ნაწარმოებები, რომლებმაც ასე ჩინებულად ჩააბარეს დროის გამოცდა.

ნუ დავუკარგავთ მომავალ თაობებს იმას, რაც არაა დასაკარგი.

## ილია სიხარულიძე

### აიწონა-დაიწონა!

აგერ ჯირკი, ზედ ფიცარი,
აქეთ ვანო, იქით ნონა,
დასკუპდნენ და ააქანეს,
აიწონა-დაიწონა!
ერთი, ორი! ერთი, ორი!
ალმა ვანო, დალმა ნონა,
ადიან და ჩამოდიან,
აიწონა, დაიწონა!
რა კარგია ასე ფრენა,
დაზეთ, ცელქებს მოეწონათ:
ადიან და ჩამოდიან,
აიწონა, დაიწონა!
ერთი, ორი! ერთი, ორი!
ალმა ვანო, დალმა ნონა,
ადიან და ჩამოდიან,
აიწონა, დაიწონა!



## მაყვალა მრევლიშვილი

### დილა მშვიდობისა

— ჩიტო, ჩიტო, ნაცარა,
ვის უგალობ, ვისა?
— შენ გიგალობ, პატარავ,
დილა მშვიდობისა!
— მზეო, მზეო, ცხრათვალა,
ვის უცინი, ვისა?
— გაიღვიძე, პატარავ,
დილა მშვიდობისა!
— პაწაწინა ყვავილო,
რად გაშალე კვირტი?
— შენთვის მინდა, პატარავ,
აბა, დამაკვირდი!
— მეც ახლავე ავდგები,
მეც დავიბან პირსა,
ყველას მივესალმები:
დილა მშვიდობისა!

## ლიდია მეგრელიძე

### ქეთოს მერცხალი

გაფრინდა ქეთოს მერცხალი,
აღარ ჭიკჭიკებს ბანზედა,
ქეთო მოწყენით გაჰყურებს,
ცრემლი უბრწყინავს თვალზედა,

და ასე ამბობს: — ნეტავი
მეც რად არა მაქვს ფრთებიო,
რომ მისებრ გადავიქროლო
ცად აბჯენილი მთებიო.

## იოსებ გრიშაშვილი

### ყურადღება

თვალჟუჟუნა ჩვენმა ჯუნამ
ეს თვე ზღვაზე გაატარა,
მგრძნობიარე გოგონაა,
ყველა აქებს, დიდ-პატარა.
ის ისეთი კუდრაჭაა,
ისე ნაზი, ისე კარგი,
აი, დედას ზღვის კენჭები
შეუგროვა მთელი პარკი.
ეს ლალია, ეს ზურმუხტი,
ეს ალმასი, ფირუზქარი,
მითხარ, ჩემო დედიკონა,
მოგწონს ჩემი საჩუქარი?
დედამ პირი დაუკოცნა,
იგრძნო, გულში, თუ, რაც ხდება,
— მე ამ ქვებზე უფრო მომწონს,
შვილო, შენი ყურადღება.



ეროვნული ბიბლიოთეკა



იური ვაჩნაძე

# № 3188

გახსოვთ სამოციანი წლების შეუდარებელი ვესტერნი „შესანიშნავი შვიდეული“? ყველას, ალბათ, განსაკუთრებით დაამახსოვრდა მთავარი როლის კრისის შემსრულებელი იულ ბრინერი, რომელსაც სიმელოტის გამო ჰოლივუდში ზედმეტსახელად „თავის ქალა“ შეარქვეს. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ მის გვერდით ისეთი გამოჩენილი მსახიობები თამაშობდნენ, როგორებიც არიან ჩარლზ ბრონსონი, ჯეიმს კობარნი, ხორსტ ბუხგოლცი, ელი უოლოსი და სხვები.

ამჯერად ერთ-ერთი მათგანის, ამერიკელი კინოვარსკვლავის სტივ მაქკუინის შესახებ მოგითხრობთ. იგი კინოხელოვნების ისტორიაში თავისებურ ლეგენდად იქცა და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ჰერი კუპერის, ჯეიმს სტიუარტის, ქლარკ გეიბლის და ძველი თაობის სხვა მოჰიკანების გვერდით.

ბევრმა კინომოყვარულმა ნახა, ალბათ, ამერიკული კინოს შედევრი „პეპელა“, რომელიც ორი დიდი ხელოვანის სტივ მაქკუინის და დასტინ ჰოფმანის ერთგვარ შემოქმედებით შერკინებად იქცა და ორივემ გაიმარჯვა. „კანონერკა“, „თომას ქრაუნის საქმე“, „ჯოჯოხეთი მაღლა ცაში“ — დაუსრულებლად შეიძლება ჩამოვთვალოთ კინოსურათები სტივ მაქკუინის მონაწილეობით და მაინც მათი ნუსხა არ იქნება სრულყოფილი — იმდენად ნაყოფიერი იყო მისი სამსახიობო მოღვაწეობა.

ყველაზე გამორჩეული მაინც ფილმი „გაქცევაა“, რომელშიც სტივს პარტნიორობას უწევს ელი მაქგროუ. „სი-ენ-ენ“-ის ტელეპროგრამის მიმომხილველის ლარი კინგისათვის მიცემულ ამასწინანდელ ინტერვიუში გარეგნულად საგრძნობლად გამოცვლილი მაქგროუ მოყვა სტივთან ერთად გატარებული წლების რთული პერიპეტიების შესახებ...

სტივ მაქკუინს ბავშვობიდანვე რთული ცხოვრება ჰქონდა, ექვსი წლისა იყო მამამისმა, ყოფილმა მფრინავმა, ოჯახი რომ მიატოვა. სტივის დედამ ჯულიამ ვერ შეძლო ოჯახის რჩენა, ჩვილი ბავშვი ნათესავებს დაუტოვა და თვითონ სამუშაოს საძებნელად გაემგზავრა.

ექვსი წლის შემდეგ დაბრუნდა შინ ახალ მეუღლესთან ერთად და ბიჭუნა ინდიანოპოლისში წაიყვანა. სოფლელი სტივი დიდ ქალაქში ცუდი გავლენის ქვეშ მოექცა და ქუჩის ერთ-ერთი ბანდის წევრი გახდა. როგორც თვითონ შემდეგში იხსენებდა, თორმეტი წლის ასაკამდე მას სულ ცოტა, სამჯერ ჩაულეწეს ცხვირი.

ჯულიას მეორე ქორწინებამ დიდხანს არ გასტანა. იგი მესამედ ვინმე ბერნის გაყვა. ეს უკანასკნელი გამუდმებით სცემდა გერს. საქმე იქამდე მივიდა, რომ სტივი მას მოკვლით დაემუქრა. ამის გამო მშობლებმა ბიჭი კალიფორნიის მკაცრი რეჟიმის ბავშვთა კოლონიაში მიიყვანეს, აქ სტივს

ქრისტინა ჟივულსკა

## ახლობლები რომ არ ჰყოლოდა

იაცეკს ერთი ქალიშვილი შეუყვარდა.

მართალია, მხოლოდ ერთი კვირა იყო გასული, მაგრამ უკვე ისეთი შეყვარებული გახლდათ, რომ ეს მის ახლობლებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ.

— ბოლოს და ბოლოს, რა გემართება? — უთხრა დედამ. — საჭმელს პირს არ აკარებ, მხოლოდ ლექსებს კითხულობ. შეგიძლია გულახდილი იყო ჩემთან, ოღონდ გაფრთხილებ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ სიყვარულისთვის. შეგიძლია იმეგობრო ვინმესთან, მაგრამ მაშინვე შეყვარება საჭირო არაა.

იმავე დღეს მამამ იაცეკი თავის ოთახში შეიყვანა და საზეიმოდ განუცხადა:

— დედაშენმა მითხრა, რომ შეყვარებული ხარ. თუ ასეა, საჭიროა საქმეს შეუდგე, გოგოს მშობლებთან მიხვიდე და წარუდგე. ნახონ, რომ წესიერი ოჯახიდან ხარ და სათანადო აღზრდა გაქვს.

საღამოს ძილის წინ, უფროსმა ძმამ გაიხმო:

— შენ რა, ჰელენა ბაიერზე გული აიყარე? ალბათ, იცი, ამას როგორ მძიმედ განიცდიან ქალები. ცოდვაა.

— გავიგე, ჰელენა ბაიერი გიყვარს, — უთხრა მეორე დღეს დამ. მთელი ქალაქი ლაპარაკობს. ხომ არ გგონია, რომ მისთვის პირველი ბიჭი ხარ. უცოდველივით გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეში კაი ეშმაკია. ჩემთვის სულ ერთია, ვინც გინდა შეიყვარე, მაგრამ ამას ისე, ყოველ შემთხვევისათვის, გეუბნები.

სახელად 3188 ერქვა. სტივი გამუდმებით იხსენებდა კოლონიაში გატარებულ თვრამეტ თვეს, იქ მიღებულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ყოველ ოთხ თვეში ერთხელ იგი ჩადიოდა კოლონიაში, მატერიალურად ეხმარებოდა იქაურ ბავშვებს და უნერგავდა რწმენას ცხოვრებისადმი.

კოლონიის შემდეგ მაქკუინი მსახურობს სამხედრო საზღვაო ჯარში, მომდევნო წლებში კი ეწევა ბოშურ ცხოვრებას. იცვლის ათობით პროფესიას — სატვირთო მანქანის მძღოლის, სანაოსნო პორტის მტვირთავის, ებრაული თეატრის მსახიობის და სხვა. 1955 წელს მას ბედმა გაუღიმა, ნიუ-იორკში იგი შეხვდა დიდ რეჟისორს, მსახიობს და პედაგოგს ლი სტრასბერგს „გახსოვთ პოლონელი ებრაელის როლის შემსრულებელი ფილმში „კასადრას გზაჯვარედინი"?). ამ მომენტიდან იწყება სტივ მაქკუინის სამსახიობო კარიერა.

მალე ეწვია პირველი სიყვარულიც — ნეილ ადამსი, რომელიც მისი მეუღლე გახდა. ნეილი ბროდვეის პოპულარული მოცეკვავე იყო, შემდგომში მან ლას-ვეგასში გაითქვა სახელი. თავიდან სტივს ძალიან მცირე ჰონორარი ჰქონდა, ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულებისათვის მას სამი ათასი დოლარი გადაუხადეს და ოჯახს ნეილი არჩენდა. სტივს კი ილებდნენ ტელესერიალში „იძებნება მკვდარი ან ცოცხალი", ტელესპექტაკლებში იგი თამაშობდა ალფრედ ჰიჩკოკთან, ბობ ჰოუფთან და პერი კომოსთან ერთად.

ამასობაში დადგა ბრწყინვალე ვესტერნის „შესანიშნავი შვიდეულის" ჯერიც. რეჟისორ ჯონ სტარჯესის სურათმა მსოფლიო დაიპყრო. სტივ მაქკუინმა განუზომელი პოპულარობა მოიხვეჭა.

ამ დროისათვის მაქკუინების ოჯახს უკვე ორი შვილი ჰყავდა. სტივმა დააარსა საკუთარი კინოკომპანია „სოლარ პროდაქშნას", ითამაშა ბევრ საინტერესო ფილმში. 1966 წელს „ოსკარზე" წარადგინეს, მაგრამ, სამწუხაროდ, აკადემიამ მას პრემია არ მიანიჭა. მაქკუინი ერთ-ერთი ძვირად ღირებული მსახიობი გახდა. იმ დროისათვის უხდიან რეკორდულ ჰონორარს — ერთ მილიონ დოლარს. და ამერიკის სექს სიმბოლოდ აღიარებენ.

გარდა კინოსი, მას კიდევ ერთი ძლიერი გატაცება აქვს — ავტორბოლა და ხშირადაც მონაწილეობს შეჯიბრებაში. ეს იყო ოჯახური უთანხმოების ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რაც 1972 წელს განქორწინებით დამთავრდა. მორალურ კრიზისს მატერიალურიც დაემატა: „სოლარ პროდაქშნაი" გაკოტრდა.

ამ მომენტიდან იწყება სტივ მაქკუინის ცხოვრების უკანასკნელი წლები, რთული — მძიმე, მაგრამ დიდი სიყვარულით სხივდანთებული. იგი ხვდება ლამაზ ქალს და პოპულარულ კინომსახიობს ელი მაქგროუ-მან სტივს პარტნიორობა გაუწია გახმაურებულ სათავგადასავლო ფილმში „გაქცევა". ცხოვრებისეული სიყვარული ეკრანულ სიყვარულად იქცა. სტივი და ელი შეუღლდნენ. სამწუხაროდ, მათი ერთობლივი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელდა. უნდა ითქვას, რომ სტივს ჰქონდა ძალიან მძიმე და თავისებური ხასიათი, უაღრესად ტემპერამენტული, თვითნებური, უკომპრომისო და უჩვეულოდ ექსტრავაგანტური საქციელიც. ერთხელ, მაგალითად, იგი მოტოციკლეტით შეიჭრა რესტორანში, სადაც ელი მეგობრებთან ერთად აღნიშნავდა დაბადების დღეს. მისი დამოკიდებულება მეუღლის მიმართ ძალიან მოჰგავდა ქართველი მამაკაცის ეჭვიან ხასიათს.

1977 წელს ისინი განქორწინდნენ. თავისი ცხოვრების ბოლო ორი წელიწადი სტივი მძიმედ ავადმყოფობდა. უკურნებელი სენი, ფილტვების კიბო, თანმიმდევრულად უსპობდა მას სიცოცხლეს. ვერც ახალმა ცოლმა ბარბარამ, ვერც მეგობრებმა ვერ შეუმსუბუქეს ფიზიკური ტანჯვა. მაგრამ სულიერად დაუმარცხებელი წავიდა ამ ქვეყნიდან. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე მან მოაწყო დარბაზობა ახლობლებისათვის, რომლებსაც ეგონათ, რომ იგი გამოჯანმრთელებას ზეიმობდა. ის კი, თურმე ყველას ემშვიდობებოდა...

---

ამ ლაპარაკს ბებიაც შეესწრო:

— არ მინდა ახალგაზრდების საქმეში ჩავერიო, ჩემო ძვირფასო, — თქვა მან, — მაგრამ უწინ, ვიდრე კაცი ქალს შეიყვარებდა, კარგად იცოდა, ვინ იყო, რა ოჯახის შვილი, რამდენი ჰექტარი მიწა ჰქონდა, რა ქონება. შენ კი რა იცი იმ გოგოზე? მხოლოდ ის, რომ ჰელენა ბაიერია. იმ ქალბატონმა ალბათ, არც იცის, რომ გამზრდელი ბებია გყავს.

ბებია კიდევ გააგრძელებდა ლაპარაკს, ამ დროს დეიდა რომ არ მოსულიყო.

— კარგია, რომ შინ მოგისწარი.

— გავიგე, რომ შეყვარებული გყავს, ვიფიქრე, შენს მშობლებთან უხერხულია ამ თემაზე საუბარი. ცალკე მინდა მოგელაპარაკო. მე ხომ დიდი გამოცდილება მაქვს. თქვენს ასაკში ყველაზე ადვილი შეყვარებაა... შესანიშნავია, მაგრამ მერე? ამას ზოგჯერ მძიმე შედეგი მოჰყვება ხოლმე! ნუ გაბრაზდები, სულაც არ გიმტკიცებ, რომ ის გოგონა ცუდია, ის თვალითაც არ მინახავს, მაგრამ ყველაფერი უნდა მიიღო მხედველობაში და, რაც არ უნდა მოხდეს, დაიხსომე, შეგიძლია მუდამ მკითხო რჩევა...

დედიდას ლაპარაკი ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა. იაცეკის ბიძა აღმოჩნდა.

— იაცეკ, ჩემი მეუღლე თქვენთან არის? ძალიან კარგი, სთხოვე ტელეფონთან, თუმცა მოიცადე. შემთხვევით ვისარგებლებ და ორიოდე სიტყვას გეტყვი: გავიგე შეყვარებული ხარ, რას იზამ, ხდება. მაგრამ, როგორც ახლობელმა, მინდა გაგაფრთხილო, რომ ასეთი გატაცება სხვადასხვანაირად მთავრდება. ბევრი რომ არ გავაგრძელო... მოგვბაძე მე და დეიდაშენს! ჩვენში ხომ უბრალოდ დაიწყო ყველაფერი.

როგორც კი იაცეკმა ყურმილი დადო, კარზე ზარის ხმა გაისმა, — სოფლიდან პაპა ჩამოსულიყო.

— შვილო, გენაცვალე, — სერიოზულად დაიწყო მან, — მართალია, საქმეზე ჩამოვედი, მაგრამ შენი ნახვაც ძალიან მინდოდა. ბიცოლაშენმა მომწერა, თითქოს ვიღაც ჰელენა შეგყვარებოდეს. პაპა ვარ შენი და უნდა მოგელაპარაკო. მართალია, სიყვარული თავისთავად მშვენიერია, მაგრამ...

— პაპა, საჭირო აღარაა, — წამოიძახა იაცეკმა. — თქვენს მოლაპარაკებას აზრი აღარა აქვს, რადგან ის გოგო აღარ მიყვარს.

— მართლა?

— მართლა!

მადლობა ღმერთს, საშინელებაა იმის გაფიქრებაც კი, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა ამას...

თარგმნა
ინგა კაკაბაძემ.



ჟიულ საამიშვილი

## სიღნაღს

ნუკრიანთან რომ იწყები,
საქობოსთან თავდები,
რომ არასდროს გათავდები,
მე ვარ შენის თავდები.

გაუძლი შაჰს და სულთანს,
ხალიფას თუ ამირას,
ახლოს მოვალ მე შენს სულთან,
ძეგლს დაუდგამ ამირანს.

კვლავაც ყანწობს ჯიხვის ყანწი,
არასდროს არ გაქრები,
გაგიმრავლდეს ქალი, კაცი,
ხელოსნები, ამქრები.

ზვრებზე დაღვრილ შუქში ცურავს
ორთაჭალა, ქედელი,
და თამადობს ხელმწიფურად
ძველი ციხის კედელი.

## წმინდა დედანო

ჩვენო დედანო და თვალისჩინნო,
თქვენ ვაზის ჯვარი გიძღოდათ წინო,
ავსწიე თქვენთვის მე ჭიქა ღვინო —
ქეთევან, თამარ, მარიამ, ნინო!

ქართველის ხატებად და ლოცვად დგახართ,
ოთხი წმინდანი ჩვენს სულთა თქმა ნარდ,
ოთხ ქართულ მზედ და მნათობად ჩანხართ —
ნინო, მარიამ, ქეთევან, თამარ!

დრომ ბობოქარმა ხელი დაგვკრია,
გულს წვიმა ცრის, ზოგში დარია,
მუდამ რომ გვფარავს — ვაზის ჯვარია
თამარ, ქეთევან, ნინო, მარიამ!

ყველა ურჯულოს გულის ფეთებად
ოთხი სახელი გულში ეტევა,
ოთხი სანთელი მარად ენთება:
მარიამ, ნინო, თამარ, ქეთევან!

---

გარეკანის პირველ გვერდზე: ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ლაშარის" სოლისტი რუსუდან ციცხვაია;
მეოთხე გვერდზე: თბილისი.

---

გადაეცა წარმოებას 20.05.98. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.07.98. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 4. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5,6. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,60. ტირაჟი 8 000. შეკვეთა 778. ფასი 50 კაპიკი.

Ежемесячный независимый общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке). 390096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типография газетно-журнального издательства «Самшобло». Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის — 99-54-66; პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებათა გამგეების — 93-28-42; რედაქციის სამდივნო — 99-01-29.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.









# ბავშვობა





